140
2006



# ნაკადული

# საქართველოს მომავალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის №155-ე საჯარო სკოლა, I კლასი
ხელმძღვანელი ლაურა კიკვიძე



თბილისის №147-ე საჯარო სკოლა, I კლასი
ხელმძღვანელი მარინა ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო
ჟურნალი
2006 წ. № 7

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

წელიწადში გამოიცემა ჟურნალის ცხრა ნომერი (ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში „ნაკადულს“ საზაფხულო არდადეგები აქვს).

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი,
კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93 31 81;
93 18 84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი

რეგისტრირებულია
მთაწმინდა-კრწანისის
სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575

## ნომრის შინაარსი

2. სიტყვა – საქმიანი,
საქმე – შედეგიანი





12. ცხოველი
სახელად ლეფხვი

14. სიყვარული
და მოზარდი





24. რას და როგორ
სწავლობენ შენი
თანატოლები

26. „მაგარი“
გამოგონებები





30. კაცი, რომელმაც
დედამიწა აწონა

### რუბრიკები

11,13,21 – ოლოშხერი
17 – პოეზიის მარგალიტები
19 – ვინ? რა? როგორ? სად?
20 – რატომ ვამბობთ ასე?
27 – შენზე ფიქრით რომ
ალამებს
31 – სიცილის გაკვეთილი
32 – იწილო-ბიწილო

გარეკანის პირველ გვერდზე იოსებ სამსონაძის ნახატი

# სიტყვა — საქმიანი, საქმე — შედეგიანი



სკოლის დირექტორი
ნანა კვირიკაშვილი

თბილისის 166-ე საჯარო სკოლის ემბლემაზე გამოსახულია ძლიერი, ფესვმაგარი ხე და წმინდა ანთიმოზ ივერიელი წიგნითა და ჩირაღდნით ხელში. ხე, მოგეხსენებათ, სიცოცხლის სიმბოლოა, წიგნი და ჩირაღდანი — ცოდნისა და განათლების, ანთიმოზ ივერიელი კი ის დიდი ქართველია, რომლის სახელსაც ეს სკოლა ატარებს. სიმბოლიკასთან ერთად სკოლას თავისი დევიზიც აქვს, რომელიც ქვეყნის განათლების სისტემის განახლება-გარდაქმნის პროცესში აქტიურად ჩაბმულმა ამ სკოლამ ცხოვრებაში გასატარებლად აირჩია: „სიტყვა — საქმიანი, საქმე — შედეგიანი“. დაგვეთანხმებით, თამამი და მაღალი პასუხისმგებლობით დატვირთული სიტყვებია და ამას უწინარეს ყოვლისა თავად სკოლაში აცნობიერებენ — მთელი პედკოლექტივიც (94 მასწავლებელი) და თითოეული მოსწავლეც (1500), ხოლო რაკიღა აცნობიერებენ, ერთიანი ძალისხმევით ცდილობენ მის ცხოვრებაში გატარებას. ყოველივე ამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი კი სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნანა კვირიკაშვილი გახლავთ, რომელიც მეოთხე წელია ხელმძღვანელობს სახელოვანი ტრადიციებით საქვეყნოდ ცნობილ 166-ე სკოლას.

ამ სკოლაში მუშაობა მან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ანუ 1982 წელს დაიწყო, ჯერ რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მერე კი 12 წელი დირექტორის პირველი მოადგილე იყო სასწავლო დარგში. ისე რომ, განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებების პროცესში სკოლის დირექტორად არჩეული ქალბატონი ნანა საფუძვლიანი პედაგოგიური განათლებითა და დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან ურთიერთობის ენას სრულყოფილად დაუფლებული შეუდგა დიდად საპასუხისმგებლო მოვალეობის აღსრულებას. რადიკალურად შესაცვლელი არაფერი დახვედრია — კარგი პედკოლექტივი, მოსწავლეთა ჯანსაღი ბირთვი (ცელქობა და სიზარმაცე, სათვალავში მისაღები არ იყო, ამას მოევლებოდა, ხოლო დისციპლინის უხეში დარღვევების ან კრიმინალის ერთი შემთხვევაც კი არ მომხდარა). მას შემდეგ, რაც სკოლის ცხოვრების ყველა წვრილმანს ჩასწვდა და მისი პოტენციალიც სრულად გაისიგრძეგანა, ქალბატონი ნანა დარწმუნდა, რომ სრული საფუძველი ჰქონდათ უფრო მაღალ საფეხურზე და მიზნებზე ეფიქრათ. პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად, რომელსაც სამი — უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა — თაობის მასწავლებლები შეადგენენ, მოსაზრებების შეჯერების, კამათის შედეგად შემუშავებული იქნა სკოლის კონცეფცია, რომელიც ასე გამოიყურება:

სწავლის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, თითოეული მოსწავლის უნარის, შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინებისათვის ზრუნვა; მოსწავლე ახალგაზრდობისათვის დასახული მიზნების მიღწევაში ხელშეწყობა; განუხრელი ზრუნვა მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე და მათი სწავლის პირობების გაუმჯობესება; მზრუნველობამოკლებული ბავშვების და სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; ორმხრივი კონტაქტები ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის მოღვაწეებთან და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება; მომავალი მოქალაქეების ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდა, ტოლერანტობის, რელიგიური შემწყნარებლობის, მოქალაქეობრივი აზროვნების დახვეწა-ჩამოყალიბება; მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდა, მშობლიური ტრადიციების განმტკიცება, დასავლურ კულტურებთან დაახლოება და ევროპასთან ინტეგრაცია.



სკოლის კოლექტივის მიერ უკვე მიღწეული წარმატებები იმის დასტურია, რომ კონცეფცია და მასში ჩაქსოვილი ყველა იდეა თუ მიზანი უთუოდ შეისხავს ხორცს და სასიკეთოდ წაადგება მოსწავლეების განათლებულ, დამოუკიდებლად მოაზროვნე, პრინციპულ, ზნეკეთილ, სამშობლოს სამსახურისთვის მზადმყოფ ადამიანებად ჩამოყალიბებას.

ისევე როგორც სრულიად საქართველოს ყველა სასწავლო დაწესებულებებისთვის, პროგრამა „ირმის ნახტომი“ 166-ე სკოლისთვისაც საუკეთესო სტიმულია. სწორედ ამ პროგრამის ჩარჩოებში აღიჭურვა კაბინეტები და კლასები თანამედროვე ტექნიკით — კომპიუტერებით (35 ც.), ციფრული აპარატებით, პროექტორებით.

რამდენიმე გამარჯვებულმა პროექტმა 166-ე სკოლელებს დიდ სიხარულთან ერთად სამი გრანტიც მოუტანა. „აიერნის“ პროგრამით ორი აქაური მოსწავლე მასწავლებლებთან ერთად ერთი კვირით იმყოფებოდა ჰოლანდიაში, სადაც ისინი გაეცვნენ იქაურ სასკოლო სისტემას, დაუმეგობრდნენ ჰოლანდიელ თინეიჯერებს.

დღიდან ანთიმოზ ივერიელის სახელის მიკუთვნებისა — ეს კი 2000 წელს მოხდა საქართველოში რუმინეთის საელჩოს ინიციატივით და ძალისხმევით — 166-ე სკოლას განსაკუთრებული, ახლო და თბილი ურთიერთობა აქვს რუმინელ მეგობრებთან, კერძოდ კი ბუქარესტის წმინდა საბას სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჯთან. სკოლას ხშირად სტუმრობენ რუმინეთის საელჩოს თანამშრომლები, რომლებსაც აქ სტუმრებად აღარც მიიჩნევენ და ისეც კი ხდება ხოლმე, რომ რუმინელები სკოლის კოლექტივთან ერთად მასპინძლობენ სხვა სტუმრებს. როგორც ჭეშმარიტ მეგობრებს შეჰფერით, რუმინელები მუდამ მხარში უდგანან ქართულ სკოლას, ეხმარებიან და ხელს უმართავენ. 2002 წლის მიწისძვრის დროს 166-ე სკოლის შენობამ მესამე ხარისხის დაზიანება მიიღო და ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცოტა ხანში საქართველოს რუმინეთის პრეზიდენტი ბატონი ილიესკუ უნდა სწვეოდა, საქართველოში რუმინეთის საელჩოს ძალისხმევით მისი ვიზიტის პროგრამაში ანთიმოზ ივერიელის სახელობის სკოლის მონახულებაც შეიტანეს. დიდ სიხარულთან ერთად მაღალი რუმინელი სტუმრის ვიზიტს სკოლაში მატერიალური შედეგიც მოჰყვა — რუმინული მხარის მიერ გადმორიცხული 100 000 ევრო შენობის აღდგენა-შეკეთებას მოხმარდა და დღეს ის ასე თუ ისე კარგად გამოიყურება. რუმინეთის საელჩოს საჩუქარია ასევე სასცენო აპარატურა და გამაძლიერებლები, ასე რომ ადგებათ ყოველი სასკოლო ღონისძიების დროს. მალე ამოქმედდება გაცვლითი პროგრამა, რომლის ჩარჩოებში 166-ე სკოლის რამდენიმე მეცხრეკლასელი გარკვეული დროით რუმინეთში ისწავლის, მათი რუმინელი თანატოლები კი ამ ქართულ სკოლაში ისწავლიან. 166-ე სკოლაში ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენასთან ერთად კიდევ ერთი უცხო ენა — რუმინული ისწავლება და თუმცა ჯერჯერობით მისი შესწავლის მსურველი არც ისე ბევრია, ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ორ ქვეყანას შორის მეგობრული კავშირებისა და თანამშრომლობის გაფართოების კვალდაკვალ მათი რაოდენობაც გაიზრდება. რუმინული მხარე, კონკრეტულად კი რუმინეთის საელჩო საქართველოში, მზად არის არსებული კონტაქტების გასაღრმავებლად. რუმინელთა ასეთი თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება ერთგვარი მადლობაა იმ დიდი ღვაწლისათვის, წარმოშობით ქართველს, რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკურ მოღვაწეს, განმანათლებელს, მესტამბეს, მწერალსა და მხატვარს, მათ მიერ წმინდანად შერაცხულ ანთიმოზ ივერიელს რომ მიუძღვის რუმინელი ხალხის წინაშე. 166-ე სკოლის კოლექტივმა კი მათზე ზრუნვის პასუხად მადლიერება იმით გამოხატა, რომ სკოლის სიმბოლიკის გამოსახულებიანი საპატიო მედალი №1 რუმინეთის პრეზიდენტს ბატონ ილიესკუს მიანიჭა, №2 — რუმინეთის ელჩს საქართველოში კონსტანტინ გირბას, №3 კი საქართველო-რუმინეთის ურთიერთობათა საზოგადოების პრეზიდენტს თეიმურაზ რუხაძეს.



I[5] კლასი. ხელმძღვანელი თამარ შეყლაშვილი

166-ე საჯარო სკოლა დედაქალაქის სხვა სკოლებისგან თავისი ადგილმდებარეობითაც გამოირჩევა, სკოლის შენობა და ეზო უშუალოდ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონს ემიჯნება, რაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს სკოლას. ამიტომ აწუხებდათ აგრერიგად შენობის იმ მხარის ფასადიც და საერთოდ სკოლის ეზო-გარემოც. ქალაქის მერიისა და მისი კეთილმოწყობის სამსახურის ზრუნვისა და გარჯის შედეგად ამჟამად ფასადიც და ეზოც მთლიანად მოწესრიგებული და გალამაზებულია.

ბევრ სამომავლო საქმეს უკვე დაედო სათავე, ბევრიც განხორციელებას ელის. გრანტებით მიღებული ტექნიკა კიდევ უფრო აფართოებს მრავალი საინტერესო ჩანაფიქრის ხორცშესხმის, ახალი ტექნოლოგიების დაუფლების შესაძლებლობას. სულ მალე სკოლას საკუთარი ვებგვერდიც ექნება, ელექტრონული ლიტერატურული ჟურნალიც. ბეჭდვითი ლიტერატურული ჟურნალი „ივერიელი“, სადაც მოსწავლეთა ნაწარმოებები იბეჭდება, აქ უკვე აქვთ, დღე-დღეზე მისი მეორე ნომერიც მზად იქნება.

ახლახან ანთიმოზ ივერიელის სახელის მიკუთვნების 6 წლისთავთან დაკავშირებით სკოლაში დიდი ზეიმი ჰქონდათ, ამ ზეიმზე შედგა მრავალი სტუმრისა დ მეგობრის თანდასწრებით შედგა სკოლის სიმბოლიკის და ჰიმნის პრეზენტაცია (ჰიმნი სკოლის შეკვეთით ბატონმა კახა ცაბაძემ დაწერა).

თითქოს ცოტა არ ვისაუბრეთ 166-ე სკოლაზე, მაგრამ რომ იცოდეთ, ერთი ამდენი, თუ მეტი არა, უთქმელი დაგვრჩა (ეს ჟურნალის შეზღუდული ჩარჩოების ბრალიცაა). შეიძლება, რაღაც გამოგვრჩა, ვერც ბევრი ღირსეული მოსწავლე თუ მასწავლებელი ვერ მოვიხსენიეთ, მაგრამ სკოლის წარმატებები, სიახლეები, რომლებიც განუხრელად ინერგება მის ცხოვრებაში, უფლებას გვიტოვებს მომავალში კიდევ არაერთხელ დავწეროთ მის შესახებ და უფრო სრულად წარმოგიდგინოთ იგი.



IV² კლასი. ხელმძღვანელი თამარ უკლება



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავშირი „ახალი ხელოვნება"

## მანანა ბეგიაშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი სახელოსნო

არ ელოდო, არამედ ისწრაფოდე განვითარებისაკენ — ამ იდეით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „ახალი ხელოვნება".

კავშირი „ახალი ხელოვნება" ცდილობს შექმნას თავისუფალი, ჯანსაღი, კეთილგანწყობილი სივრცე იმ ხელოვანთათვის, ვინაც გემოვნებითა და აზროვნების სტილით გამოირჩევიან. ორგანიზაციის სტრუქტურა ყოველ შემოქმედს აძლევს საშუალებას განახორციელოს ნოვატორული იდეები და პროექტები.

კავშირის „ახალი ხელოვნება" მოღვაწეობის სფერო ფართოა და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. იქნება ეს მხატვრობა, ფოტოხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა თუ ელექტრონული გამომცემლობა.

2005 წელს კავშირის ბაზაზე დაფუძნდა მოზარდთა ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა". მასში მონაწილეობა მიიღო 400-მდე მოზარდმა, როგორც თბილისიდან ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. 2005 წლის დეკემბერში ჩატარდა კონკურსის დასკვნითი ღონისძიება. გამარჯვებულებსა და ნომინანტებს გადაეცათ პრემიები და პრიზები.

გამოიცა კონკურსის საუკეთესო ნამუშევართა კრებული „ალუბლობა 2005". ამჟამად მიმდინარეობს „ალუბლობა 2006"-ის დასკვნითი ღონისძიებისათვის მზადება. (დაწვრილებით ინფორმაციას მოზარდთა ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა 2006" — ის შესახებ შემდეგ შემოგთავაზებთ).

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელიც ორგანიზაციაში განხორციელდა, გახლავთ ქალბატონ მანანა ბეგიაშვილის მოზარდთა ლიტერატულულ-შემოქმედებითი სტუდია, რომელიც სრულიად განსაკუთრებული მეთოდით ხელმძღვანელობს. სტუდიაში უკვე რამდენიმე თაობა აღიზარდა. გამოიცა ორი ალმანახი — „სადღაც ახლოს" (2003 წ.) და „ხვალ იქნებ კარგი დღე იყოს" (2005 წ.). წლის ბოლოს გაიმართება რიგით მესამე ალმანახის „საიდან იწყება ცა?" პრეზენტაცია.

მანანა ბეგიაშვილი — მოზარდთა ლიტერატულულ-შემოქმედებითი სტუდიის ხელმძღვანელი:

ბავშვი როგორც სხვა სამყაროდან მოსული არსება, ჩვენთან ერთად დგას და ათვალიერებს ყოველივეს. რა დიდია ქვეყანა, უცნაური, გაურკვეველი, ფერადი. თვითონ კი ერთი ბეწოა. გარშემო ყველაფერი უიმისოდ იყო, არის და იქნება. როგორმე უნდა მოახერხოს და შემოვიდეს. შიგნიდან გრძნობს, რომ ძალიან უნდა. იქნებ შეუძლია კიდეც, მაგრამ... საამისოდ ძალიან პატარაა. თითის წვერებზე იწევა, თვალებგაფართოებული ქვევიდან შესცქერის დიდ ხეებს, დიდ შენობებს, მზეს და ხელს კიდებს მეგზურს, უფროსს — ანუ მას, ვისაც ენდობა. მოზარდი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ყოფით პრობლემებს. მას უჭირს საკუთარი თავის დაცვა; მისთვის რეალურისა და შინაგანად არსებულის გამყოფად ერთი სიფრიფანა კედელი არსებობს. ამიტომაც, ცხოვრებისეულ კრიზისულ პერიოდებში მოზარდის სამყარო ხუხულასავით რომ არ დაინგრეს, მისი შინაგანი ფასეულობების გადაფასება არ მოხდეს და მან მყარად დგომა შეძლოს, ახალგაზრდამ, პირველ რიგში, შინაგანი მობილიზება უნდა მოახერხოს. თვითდამკვიდრებისათვის კი სიტუაციის გარედან შეხედვა უნდა ისწავლოს, რათა ყოველივე მის წარმოსახვაში დალაგდეს. ეს საკუთარი შესაძლებლობების სწორი აღქმა და გაძლიერებაა.

ეს კი არც ისე ადვილი მისაღწევია. ამჯერად გვინდა ერთ-ერთი ასეთი გზა წარმოგიდგინოთ; ეს შემოქმედებითი აზროვნებაა, როცა მშვინვიერ გარემოში პიროვნება ბავშვივით იბადება. ჩვენი სახელოსნოს ძირითადი მიზანი ესაა. ამგვარი უნარ-ჩვევების დაუფლებით ადამიანის აზროვნება მოქნილი ხდება. იგი იმდენად განისწავლება, რომ უკვე ფიქრობს: საგნებს მიღმა სული დგას. თუკი ადამიანმა ეს ისწავლა, მაშინ იგი თითოეულ საგანსა თუ მოვლენაზე, მის დანიშნულებასა და გამოყენებაზე სწორად იფიქრებს. ადამიანი ასე უფრო თავისუფალი ხდება.

ჩვენს სახელოსნოში, შემოქმედებითი აზროვნების მეცადინეობებზე ვცდილობთ განცდილისა და აღქმულის ასახვა, გათავისება ვისწავლოთ; შემოქმედებითი წერის პროცესში სახელოსნოს მონაწილეები არა მარტო წერით უნარ-ჩვევებს ეუფლებიან, არამედ კეთილგანწყობით გარემოში სწავლობენ თვითდამკვიდრებას.

გვინდა მოკრძალებით წარმოგიდგინოთ ჩვენი თხზულებები. ესაა მეცადინეობაზე (იშვიათად, შინ) დაწერილი ამბები თუ სიტუაციები; მათ ყოველგვარი შესწორების გარეშე გთავაზობთ.

მისამართი: ვ. ორბელიანის 31.
კავშირი „ახალი ხელოვნება".
ტელ. 987544.

### ნია ქობულაძე, 9 წლის

### ნუ გეშინია, შენთან ვარ

დაღამდა. რვა წლის მარიამი დედამ სახლში დატოვა მარტო, ექიმი იყო და სამსახურში დაიბარეს, მერე მარიამს უთხრა:

—მე წავედი, მალე მოვალ, უი ხო, ტელეფონზე არ იჭორაო!

— კარგი!

— აბა, წავედი.

მერე შუბლზე აკოცა და კარი დაკეტა მარიამმა. დედა როგორც კი წავიდა, მაშინვე თავის დაქალ ანის დაურეკა:

— ალო.

— გამარჯობა, ლელა დეიდა, ანი სახლშია?

— რომელი ხარ?

— მარიამი!

— აა! მარი შენ ხარ? ახლავე დავუძახებ ანის.

— ანი, მოდი, გირეკავენ!

— ვინაა?

— მარი.

— მოვდივარ!

— გოგო, რას შვები?

— რავი აბა, მარტო ვარ სახლში.

— აუ, რა მაგარია!

— ვიჭორაოთ?

— აბა რა!

ბევრი იჭორავეს. უცებ ჭექა–ქუხილი ამოვარდა, შუქი ჩაქრა, ტელეფონი გაითიშა. სახლმა თითქოს მიიძინაო. მარიამს შეეშინდა და ლოგინში ჩაწვა. დედა ფეხით მოდიოდა. აი, დედა მოვიდა, მარიამს ქურდი ეგონა და ჯოხი აიღო, მაგრამ დედა იცნო და უთხრა:

— დე!

— ხო?

— ძალიან შემეშინდა!

— ნუ გეშინია, შენთან ვარ, აი, შუქი მოვიდა!

— ხო!

— მოდი, გამოვიცვლი, მერე ჩემს საწოლში ჩავწვეთ და ზღაპარს წაგიკითხავ.

— აუ, „სატკბილეთის ქვეყანა“ წამიკითხე, რა.

— კარგი!

მარიამი დაწვა..

დედამ კითხვა დაიწყო, შვილს ჩაეხუტა, ორივეს უმალვე ჩაეძინა.

**ლექსო ლოდია, 9 წლის**

### ჟღალი აქლემი

ჟღალი აქლემი უდაბნოში დახეტიალობდა. კაქტუსზე ერთი ქვიშის საათი იყო დარჭობილი. საათი აქლემმა ოაზისში გადააგდო და იქაურობას გაეცალა. გზაში გაახსენდა, რომ იმ საათში მისი წარსული, აწმყო და მომავალი იყო ჩაქსოვილი.

უკან მობრუნდა; თან ძალიან სწყუროდა, იქ წყალიც დალია, ქვიშის საათიც მუცელში ჩაყვა. ამოღება უნდოდა, მაგრამ ამაოდ.

ჟღალი აქლემი წარსულში დაიკარგა...

**დავით ჩხატარაშვილი,**
**13 წლის**

### წვიმდა

წვიმდა. მიბაკუნობდნენ ადამიანები. ზევიდან სხვანაირი დასანახები იყვნენ. რაღაც უმწეონი, ლაფში ამოთხვრილნი. როცა სულს იგრძნობ, მართლაც, სხვანაირი გეჩვენება ეს სამყარო. ხელებს ეფათურები, იქნებ ვინმემ წაგიყვანოს აქედან. აქედან შორს, ცაში, ღრუბლის იქით, მარადისობაში. მაგრამ უნდა გაძლო ამ ატალახებულ სამყაროში, შენი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრო. უფალმა უფრო ახლოდან რომ გიყუროს და გადაიქცე ისეთად, როგორადაც ღმერთი მიგიღებს. ამ ბურუსში გზა უნდა გაიკვალო და მიხვიდე სახლში, მაგრამ სახლამდე ერთი ნაბიჯი დამრჩა და ხელს არავან მკრავს. არავინ მიწვდის დახმარების ხელს. ვეძახი, მაგრამ არ ესმით. გავიჭედე ამ სამყაროში, ვეღარ ვბედავ გასვლას.

ღამე იყო. ქუჩაში აღარავინ დარჩენილიყო. მხოლოდ სოფელში ბროწეულებს ელვიძათ, შეჭრილ ორღობეში. არ გამსკდარიყვნენ და არ ამოსვრილიყვნენ ლაფში.

გათენდა. მზემ დააშრო აქაურობა და აწმინდა.

შენ, სადღაც გაჭედილს, უკან დაბრუნება გინდა, მაგრამ გვიანია, ბროწეულები უკვე დაიხეთქნენ.

**ლევან სიხარულიძე,**
**13 წლის**

* * *

იყო დიდი ტყე, სადაც ხეებს შორის მიცურავდა ნაკადული, მაგრამ არ იცოდა, სად. წინ ერთი ხევი მოჩანდა .ძალიან ლამაზი. ციდან დიდი მზე იყურებოდა. მზეს აინტერესებდა, რა ხდებოდა მიწაზე. მზემ თავისი ორი ხელი გამოჰყო და ღრუბლები გასწია. მზემ თავისი დიდი ხელი გაჰყო ნაკადულში და ცაზე გამოჩნდა ცისარტყელა. იქ, სადღაც მიფრინავდა ჩიტი და შუა ფრენაში წყალში ჩავარდა. ნაკადული მიცურავდა, მაგრამ არ იცოდა სად. შუა გზაში ჩიტი ნაპირზე გადმოხტა. არავინ იცის, როგორ მოახერხა. ჩიტმა მიწაზე დაინახა ერთი მიტოვებული ია, რომელსაც ძალიან სციოდა. ჩიტს შეეცოდა ია, მივიდა ახლოს და ჩაეხუტა. ია გათბა. მერე ჩიტს გაახსენდა, რომ თავისი ბარტყებისთვის უნდა მიეტანა საჭმელი. ჩიტი ჰაერში აიჭრა. ატირებული წავიდა სადღაც შორს, მაგრამ არ იცოდა, სად.

**ბარბარე გეთია, 16 წლის**

ბიჭი აივანზე იჯდა და შარაგზას გაჰყურებდა. მზის უკანასკნელი სხივი მიეფარა დიდ მთას. ჯერ ძროხა გამოჩნდა, მერე მოხუცი მოჰყვა ჯოხით ხელში. ბიჭი წამოხტა, კიბეებზე ჩაირბინა, საყვავილეს გადაახტა და ბაბუს შეეგება, ძროხასაც მოუთათუნა ხელი კისერზე, თბილი იყო ძალიან. ძველი ეუვანი უაზროდ წკრიალებდა. მოვხსნათო, — შესთავაზა ბაბუს.

— იყოს, რას გიშლის.

— მე კი არა, მაგას უშლის, — ჩაიდუდღუნა ბიჭმა და თავზე გადაუსვა ხელი.

წყლიანი თვალებით გამოხედა იმან. ბიჭი ფეხშიშველი იყო. ბაბუ გაუბრაზდა: წადი, დროზე ჩაიცვი, გაცივდებიო. ბიჭი უკმაყოფილოდ წავიდა შინისკენ, ჩქარი ნაბიჯებით. იქვე აივანზე იპოვა ფეხსაცმელები, უაზროდ წაჰყო ფეხები და ტყაპატყუპით ჩავიდა კიბეზე. ბაბუს უკვე გადაევლო-ეზო და ძროხას ბოსლისკენ მიერეკებოდა.

ბურთი იპოვა კიბის ქვეშ, გამოიტანა, გაცვეთილი იყო. მეზობელს გადასძახა, ვითამაშოთო. დაღამებამდე დარბოდნენ, იჩხუბეს კიდევაც. მერე ბურთი ისევ კიბის ქვეშ შეაგდო და ისევ ტყაპატყუპით აიარა კიბე. მთვარე უკვე კარგად ამოზიდულიყო და ირეკლავდა მთებს. ბაბუს ჩაი აედუღებინა, ცხვირაბზეკილი ჩაიდანი იქვე გაზქურასთან დაედგა.

— ბაბუ, დალევ?—ჰკითხა ბიჭს.

ბიჭი ტახტზე მიწოლილიყო, ღია კარებიდან ცაზე გაწოლილ მთვარეს უყურებდა. ორივე დაღლილი ჩანდა;

— დალევ-მეთქი? — მიესიყვარულა ბაბუ, ტახტზე მიუჯდა;

— რას?

— ჩაის.

— ხო,მინდა.

— წამო, ერთად დავლიოთ.

ბიჭი ნელა წამოდგა, ფეხს ითრევდა. ისევ გახედა მთვარეს, მერე ზურგი შეაქცია და მოხრილ ბაბუს მიჰყვა.

— როგორ გაჭაღარავებულხარ, დამიბერდი? — ხელი გადახვია.

— ერთი ამას დამიხედე, გამასწრო, — მხრებში გაიმართა ბაბუ, — გაუხარდა — გაიზარდა, დაკაკვდაო.

მაგიდას ერთად მიუსხდნენ, ერთმანეთის პირისპირ. მთვარემ აქაც შემოიხედა, იქვე ფანჯრიდან. სანთლის შუქი ოდნავ ბჟუტავდა. დიდი, მრგვალი მთვარე ანათებდა აქაც. ბაბუმაც გახედა, თვალი ვერ მოაშორა, ლამაზი იყო ეგ ოხერი, ვარსკვლავებს შორის გაწოლილი.

— დალიე, თორემ გაგიცივდა.

— არა უშავს, — ფინჯანს მოჰკიდა ხელი ბაბუმ.

დალიეს, გავიდნენ, დატოვეს ჩაიდანი მარტო, მთვარესთან ერთად.

ქარმა ფანჯარა ააჭრიალა, გამოაღო. შუაღამე იყო უკვე. ბაბუ წამოდგა, მივიდა. მთვარე ჩამოსულიყო ქვევით, ძალიან ქვევით, ატუზულიყო იქვე, ფანჯარასთან.

ვარსკვლავი ჩამოვარდა, ბაბუმ ჩაიფიქრა...

**ფანტასტიკური მოთხრობა**

# კატა ფანჯარაში ზის

## ელიზაბეტ ფენსეტი

თარგმანი
**სიდონია ზაალიშვილის**

—გაიმეორეთ ჩემთან ერთად, — თქვა მასწავლებელმა, — „კატა ფანჯარაში ზის“, სამი-ოთხი...

—„კატა ფანჯარაში ზის“, — მორჩილად გაიმეორა ყველამ, გარდა სინდისა.

—სინდი! — მის პელიმ გოგონას მიაპყრო მზერა, — რატომ ყველასთან ერთად არ იმეორებ?

—იმიტომ, რომ ეს სულელური ლექსია, მის პელ, — უპასუხა გოგონამ. — იქ, სადაც მე დავიბადე, კატები ფანჯრებში არ სხდებიან, ისინი ძალიან დიდები, სამი მეტრის სიმაღლისა და ცისარტყელასავით ფერადები არიან.

კლასში ხარხარი ატყდა.

—შენ სულ არ მიგონებ, სინდი, — შენიშნა შეწუხებულმა მსწავლებელმა. — ალბათ დირექტორს უნდა შევჩივლო შენი ამბავი. გაკვეთილ დამთავრებულია — მიმართა მან კლასს.

ბავშვები სინდის შემოეხვივნენ და ყველანი სათამაშოდ გაცვივდნენ.

მის პელი ერთხანს ასე იდგა სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტის წინ, ვერ გადაეწყვიტა შესულიყო თუ არა. ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა, ხმამაღლა დააკაკუნა და შევიდა.

მისტერ ელიმ დაჯდომა შესთავაზა და აღელვებული მის პელი სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

—იცით, პირველ კლასში ერთი ჯიუტი გოგონა მყავს, — დაიწყო მასწავლებელმა, — არ ვიცი, რა მოვუხერხო. დღეს ლექსის გამეორებაზე უარი თქვა, ხომ იცით, აი ის ლექსი რომაა „კატა ფანჯარაში ზის...“ ასე მითხრა, კატები ფანჯრებში არასოდეს არ სხედანო. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე დავიბადეო.

ფსიქოლოგი ცდილობდა სიცილი შეეკავებინა.

—ის კი არ უთქვამს, მაინც სად დავიბადეო? — ჰკითხა მან აღელვებულ მასწავლებელს.

—არა, მაგრამ ასე ამბობს, ჩემს სამშობლოში სამმეტრიანი კატებიაო!

მისტერ ელი შეფიქრიანდა.

—თავს როგორა გრძნობით, მის პელ?

—საუცხოოდ!

—შინ ყველაფერი რიგზე გაქვთ?

—იცით, რას გეტყვით?! — შესძახა მასწავლებელმა, — მე ჩემს მოსწავლეზე სალაპარაკოდ მოვედი, და არა ჩემზე. თუ არ გინდათ, დამეხმაროთ, უთქვენოდაც მოვუვლი სინდის. კარგად ბრძანებოდეთ!

—გოგონა კარგად სწავლობდა, — გაუბედავად დაიწყო მის კლაუდიმ, მესამე კლასის მასწავლებელმა, — ახლა კი ურჩობს და ყველაფერს უკუღმა აკეთებს.

—უკუღმა? — ჩაეკითხა ფსიქოლოგი, ე.ი. რა უკან-უკან დადის და მარჯვნიდან მარცხნივ წერს?

—არა, მაგრამ... აი, მაგალითად, ბავშვებს დასაწერად მივეცი თხზულება თემაზე „ჩემი სახლი“, იმ გოგონამ კი იცით, რა დამიწერა? ფანტასტიკური მოთხრობა! ინებეთ, აი მისი რვეული.

ფსიქოლოგმა გულდასმით წაიკითხა რამდენიმე გვერდი.

—ჰო, ჩაილაპარაკა მან, მერე გაჩუმდა. — მაგრამ ეს ხომ...

—დიახ, სწორედ ასეა! — შესძახა მის კლაუდიმ — მე მოსწავლეებს ვთხოვე გულწრფელები ყოფილიყვნენ, ზღაპრები კი არ შეეთხზათ!

—თქვენ ფიქრობთ, რომ გოგონას წარმოსახვის უნარი ზედმეტად აქვს განვითარებული? — ჰკითხა მისტერ ელიმ.

—სავსებით შესაძლებელია. იცით, როგორ მოვიქეცი, ეს ნაჯღაბნი რომ წავიკითხე?

—როგორ?

—ახალი თხზულება მივეცი დასაწერად, ამ გოგონას ფანტაზიას გასაქანი რომ მისცემოდა.

—სწორი გადაწყვეტილებაა.

—არა, არ არის სწორი. აი ინებეთ! — და მის კლაუდიმ კიდევ ერთი რვეული გაუწოდა ფსიქოლოგს.

მისტერ ელიმ რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და თავი ასწია.

—რა, მოსაწყენია? — ჰკითხა მის კლაუდიმ. — მეც მოსაწყენი მეჩვენა. მე ვთხოვე იფანტაზიორეთ, უხილავი პლანეტა წარმოიდგინეთ-მეთქი, ეს გოგონა კი ადგა და ჩვენი დედამიწა აღწერა.

—და რაო, თვითონ როგორ ხსნის ამას?

—ასე ამბობს, სწორედ დედამიწაა უცხო პლანეტაო.

—რას ბრძანებთ? იცით, რა, მის კლაუდი, მომეცით თხზულება „ჩემი სახლი“, მინდა გულდასმით წავიკითხო. იქნებ რაიმე საგულისხმოს მივაგნო.

პარმაღზე მის ტრიმბლი იდგა.

—მე ისტორიასა და ხატვას ვასწავლი, მისტერ ელ, — თქვა მასწავლებელმა. — და იცით, ერთი ბავშვი მყავს კლასში... ისტორიის გაკვეთილებზე ეს გოგონა პირდაპირ მაოცებს თავისი ცოდნით. გულწრფელად გეტყვით, დიდი ხანია, მე და მას ადგილები გაცვლილი უნდა გვქონდეს.

—რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ?! — ყასიდად შეიცხადა ფსიქოლოგმა.

—დამიჯერეთ, ექიმო, ეს ასეა, მას შეუძლია ჩამოთვალოს ინგლისის ყველა მეფე, მოყოლებული ალფრედ დიდის დროიდან. ერთხელ ისიც კი მითხრა, ვინ იქნება მომდევნო მონარქი ჩვენს ქვეყანაში ასი წლის შემდეგ და ისიც, შემდგომში ვინ იმეფებს. ხანდახან ასე, მგონია, რომ ამ გოგონას შეუძლია მომავალში ჩაიხედოს და გაიგოს, რა იქნება ათასი წლის შემდეგ!

—საოცარია! — შესძახა მისტერ ელიმ.

—ხატვის გაკვეთილზე კი, — განაგრძო მის ტრიმბლიმ და სავარძელში ჩაჯდა, — ეს გოგონა ძალზე უცნაურ პეიზაჟებს ხატავს, უჩვეულო ფერებს ხმარობს, საოცარ სახლებსა და ისეთ ადამიანებს ხატავს, რომლებიც ჩვენ არგვგვანან, და კიდევ უზარმაზარ კატებს ხატავს. რა თქმა უნდა, ყოველ მოსწავლეს შეუძლია ის დახატოს, რაც უნდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც ისეთის თქმა უნდათ ჩემთვის, რასაც ვერ მივხვდები...

—მის ტრიმბლ, — აღელდა ფსიქოლოგი. — თუ შეიძლება, მითხარით, რა ჰქვია იმ მოსწავლეს?

—სინდი, — უპასუხა მასწავლებელმა, — სინდი ელიანა.

მისტერ ელი შეკრთა, აზრი თავში რომ მოუვიდა, მისი ახალი ფანტასტიკური მოთხრობისათვის უფრო ვარგოდა...

—მე ახლა კლასში მივდივარ, — შეაწყვეტინა ფიქრი მის ტრიმბლიმ, — თუ გნებავთ, შეგიძლიათ წამომყვეთ.

გოგონა კუთხეში იჯდა, ფანჯარასთან. წითური იყო, ლამაზი. მან შემოსულს თვალებში შეხედა და ექიმ ელის იდუმალების მწვავე შეგრძნება დაეუფლა.

—გამარჯობა, სინდი, — უთხრა ექიმმა. გოგონამ გაუღიმა.

—მე მომწონს შენი ნახატები, განაგრძო ფსიქოლოგმა, — თხზულებებიც საუცხოოა. აი, მის პელი კი გამწყრალია შენზე.

—მე ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა სინდიმ, — მაგრამ მისი მეთოდები უსაშველოდ დაძველდა. ისე სწავლება, მის პელი რომ გვასწავლის, აღარ შეიძლება, ამ პლანეტაზეც კი. მე კიდევ იმდენი რამ უნდა გასწავლოთ. თვითონაც ბევრი რამ მაქვს სასწავლი. დრო არ მყოფნის და ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მიხდება ყოფნა.

—განა შენ პლანეტაზე არ არსებობს ისეთი კატეგორია, როგორიც დროა?— ჰკითხა მისტერ ელიმ.

—არა. ჩვენ დედამიწის მკვიდრთ არ ვგავართ... მაგრამ, როგორ მიხვდით ვინა ვარ?

—მე ფსიქოლოგი ვარ.

გოგონამ გაოცებით შეხედა მისტერ ელის.

—მის პელიმ მიამბო შენზე, მის კლაუდიმ შენი თხზულებები წამაკითხა, მის ტრიმბლიმ კი გადაწყვიტა შენი თავი გაეცნო ჩემთვის.

—ფსიქოლოგი, — ფიქრიანად გაიმეორა გოგონამ. — საინტერესოა.

—მწერალიცა ვარ, — დასძინა მისტერ ელიმ. — მთლად იღბლიანი ვერა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ოდესმე ბედი გამიღიმებს.

—აუცილებლად გაგიღიმებთ, — ისე თქვა სინდიმ, თითქოს დანამდვილებით იცოდა ეს.

—მართლა? იცი, მე საუცხოო მოთხრობა ჩავიფიქრე. შეიძლება შენზე და შენს პლანეტაზე დავწერო?

—რატომაც არა, შეიძლება. — ღიმილით უპასუხა სინდიმ, — ოღონდ ასეთ შემთხვევაში ჩვენი სკოლის სადურგლო სახელოსნოში უნდა შეიხედოთ.

—გისმენთ! — მკაცრად მიმართა სკოლის დირექტორმა მის პელის.

—სულ კი ამ გოგონას ოინებია, — დაიწყო მის პელიმ, — მასხრად მიგდებს, საშინელ რამეებს ამბობს... კატები სამი მეტრის სიმაღლისა არიანო...

—გასაკვირი არაფერია, მის ასაკში ყველა ბავშვი ამბობს სისულელეს.

მის პელიმ კვლავ დააღო პირი, მაგრამ ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ოთახში მის კლაუდი შემოვიდა.

—მგონი, უდროო დროს მოვედი, — თქვა მან და გაბრუნება დააპირა, მაგრამ ამ დროს კარი ყურთამდე გაიღო და მის ტრიბლი შემოვიდა.

—დიახ, წარბი შეიკრა დირექტორმა, მის სიმიმ, — როგორც ჩანს, ეს მეოთხედი ადვილი არ იქნება. აბა, მიამბეთ, რა ხდება.

—მე უნდა ვიცოდე ამ გოგონების ვინაობა, — მკაცრად თქვა მან, მას შემდეგ, რაც ყველას მოუსმინა. — მითხარით მათი სახელები.

—სინდი ელიანა, — ერთხმად უპასუხეს მასწავლებლებმა და გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. პირველი მის პელი მოეგო გონს.

—ერთი წუთით! — შესძახა მან, —



არაფრით არ შეიძლება სინდი მესამე კლასში სწავლობდეს, ის ხომ სულ ექვსი წლისაა!

—არა, გოგონა რვა წლისაა, — შეესიტყვა მის კლაუდი.

—ათისა! — შეჰყვირა მის ტრიმბლიმ.

—მე მაინც ვერ გავიგე, რომელ კლასშია ეს სინდი ელიანა? — იკითხა დაბნეულმა მის სიმიმ.

—რა თქმა უნდა, პირველში, თქვა მის პელიმ.

—მესამეში! — აღშფოთდა მის კლაუდი.

—რას ამბობთ, გოგონა მეხუთე კლაში სწავლობს! — შესძახა მის ტრიმბლიმ.

მის სიმის თავგზა აებნა.

—მომითმინეთ, ახლავე დავურეკავ მდივანს.

დირექტორმა მდივან ქალიშვილს სკოლის საერთო ჟურნალი ხელიდან გამოსტაცა და მოუთმენლად დაუწყო ფურცვლა.

—ნამდვილად გავგიჟდები. აქ საერთოდ არ წერია არავითარი სინდი ელიანა.

—რას ბრძანებთ, მის სიმ? — კაბინეტში მისტერ ლი შემოვიდა, შრომის მასწავლებელი, — ვინ არ არის ჩაწერილიო, რა ბრძანეთ?

—სინდი ელიანა! — უპასუხა საგონებელში ჩავარდნილმა დირექტორმა.

—კი, მაგრამ, სინდი ჩემს კლასში სწავლობს. ნეტავ განახათ, რა უჩვეულო შენობების მაკეტებს აკეთებს ფანერისაგან ან რა უცნაურ ცხოველებს ხერხავს ბეწვა ხერხით!

—გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს რამდენი წლისაა ეს გოგონა? — ჩაილაპარაკა მის სიმიმ და გაოგნებულმა შეხედა კოლეგებს.

—თორმეტის, — უპასუხა მისტერ ლიმ, რა არის რომ?

—მე მგონია, — თქვა დირექტორმა, — დროა ყველამ ექიმ ელის მივმართოთ!

—ექვსი წლის სინდი, რომელიც უარს ამბობს გაიმეოროს ლექსი კატაზე, ფანჯარაში რომ ზის, რვა წლის სინდი, რომელმაც ორი უცნაური თხზულება დაწერა, ათი წლის სინდი, რომელმაც ჩინებულად იცის ისტორია და შეუძლია მომავალი იწინასწარმეტყველოს. ე.ი. სკოლაში სამი სხვადასხვა გოგონაა, თუმცა... ვითომ სხვადასხვები არიან? შეიძლება, რომ სამივე ერთი და იმავე ადამიანს წარმოადგენდეს? არ ვიცი... ალბათ შეიძლება... სადღაც, სხვა სამყაროში... — მისტერ ელი გაჩუმდა.

—გულწრფელად რომ გითხრათ, მე თქვენგან სხვას არც ველოდი... — ამოიოხრა დირექტორმა.

—თუ გინდათ ჩემი აზრი იცოდეთ, — ჩაილაპარაკა მის კლაუდიმ, — ყური მათხოვეთ. მე მგონი, ყველა ეს სინდი ერთი და იგივე ურჩი გოგოა, რომელიც ყველას გვაცუცურაკებს. შეუძლია ხან ექვსი წლისად მოგვაჩვენოს თავი, ხან ათი წლისად და სარგებლობს ამით...

—სისულელეა! — გაწყრა მის სიმ. — მნიშვნელობა არ აქვს რამდენი სინდია ჩვენს სკოლაში. მთავარია, რომ ყველანი გვაპამპულებენ, ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ტყუის, როცა ამბობს, რომ მათი გვარია ელიანა. ახლა ავდგები და ცხრილს შევცვლი, სადილის შემდეგ ის კლასები, რომლე-

ბშიც ის გოგონები არიან, ერთდროულად იმეცადინებენ, მაშინ გამოჩნდება, სინამდვილეში რამდენნი არიან.

—ჩვენ ერთ არსებასთან გვაქვს საქმე, — ჯიუტად გაიმეორა მისტერ ელიმ, — ოღონდ ამ არსებას ძალუძს რამდენიმე სახით გამოგვეცხადოს. ისე, რომ ოთხივე კლასში თითო სინდი რომ აღმოვაჩინოთ, ეს კიდევ არ იქნება იმის დადასტურება, რომ ის...

—რა, ის? — დაცინვით ჰკითხა მის სიმიმ.

—რატომაც არა? რატომ ვერ იჯერებთ, რომ სინდი სხვა პლანეტიდან ჩამოფრინდა, რათა იქაურობის შესახებ გვიამბოს და რაღაც გვასწავლოს?

—პირადად ჩემთვის მას არაფერი უსწავლებია, — განაცხადა მის პელიმ.

—კმარა! — ჩაერია დირექტორი. — სადილის შემდეგ მე თვითონ შევალ იმ კლასებში, სადაც სინდი ჩნდება,

მასწავლებლები ელოდნენ, ღელავდნენ, ხმას არ იღებდნენ. მის სიმიც კი ჩაცხრა.

სინდი ოთხივე კლასში აღმოჩნდა. დირექტორს მისი მწვანე მცინარე თვალების გახსენებაც კი ნერვებს უშლიდა, თუმცა კი იგი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ტყუპი დები ნახა და სხვა არაფერი. გოგონები ერთად შემოვიდნენ და დირექტორის წინ გამწკრივდნენ. სიმაღლით თუ გაარჩევდით ერთმანეთისგან, თორემ დანარჩენში სულ ერთნაირები იყვნენ.

—კეთილი ინებეთ და ამიხსენით, თქვენი, რბილად რომ ვთქვათ, უჩვეულო საქციელი, — გამოუცხადა დირექტორმა გოგონებს. — სავსებით ცხადია, რომ თქვენ დები ხართ. თქვენი გვარი დაგვისახელეთ.

—ელიანა, — ერთხმად უპასუხეს გოგონებმა.

—სკოლის ჟურნალში ასეთი გვარი არ არის.

—ახლავე აგიხსნით, — თქვა თორმეტი წლის სინდიმ, — საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ეს-ეს არის ჩამოვედით სხვა... ქვეყნიდან და ვერცერთ სკოლაში ვერ ჩავირიცხეთ, ვერ მოვასწარით, სწავლა, უკვე დაწყებული იყო. ამიტომაც გადავწყვიტეთ, უბრალოდ გვევლო გაკვეთილებზე.

—უბრალოდ გევლოთ გაკვეთილებზე?! — მის სიმი მოიღუშა, — კეთილი და პატიოსანი, მაინც სინდი რომელია თქვენში?

მისტერ ელიმ სუნთქვა შეიკრა.

თორმეტი წლის სინდიმ წინ წადგა ნაბიჯი.

—მის სიმ, ჩვენ უბრალოდ ვიხუმრეთ, გვაპატიეთ თუ შეიძლება, სინდი მე მქვია.

ფსიქოლოგმა ნაღვლიანად შეხედა გოგონებს, მათ თვალი მოარიდეს მას.

—ძნელი სათქმელი, სადამდე მიგვიყვანდა ეს თქვენი ხუმრობა, ჩვენ რომ ამისთვის ბოლო არ მოგვეღო. — ცივად გამოსცრა მის სიმიმ. — გადაეცით თქვენს მშობლებს, რომ მათ სპეციალური ნებართვა უნდა მიიღონ, თუ უნდათ, რომ თქვენ მომავალშიც ისწავლოთ ჩვენს სკოლაში. გასაგებია?

—დიახ, მის სიმ.



გოგონები ისე გავიდნენ კლასიდან, რომ მისტერ ელისაკენ არ გაუხედავთ.

—სამწუხაროა... — ჩაილაპარაკა მისტერ ლიმ. — ჩემი სინდი ისე კარგად მუშაობდა ბეწვა ხერხით...

—ახლა ჩემი როგორ ხატავდა! — შესძახა მის ტრიმბლიმ.

—ჩემსას კი ისეთი წარმოსახვის უნარი ჰქონდა! — ხელები გაასავსავა მის კლაუდიმ.

—აი, ჩემი კი უბრალოდ უხეში გოგოა, — მკვახედ მოსჭრა მის პელიმ.

მისტერ ელის არაფერი უთქვამს, ვერ იყო კარგ გუნებაზე. აბა რა იქნებოდა, ის ხომ ცდილობდა მასწავლებლები დაერწმუნებინა, სინდი ელიანა უცხოპლანეტელიაო. უფრო მეტიც, თვითონვე დაიჯერა ეს და ახლა ისე გრძნობდა თავს, თითქოს უღალატესო.

მისტერ ელი დერეფანში გავიდა. მასწავლებლებმა დამცინავი მზერა გააყოლეს. მის დანახვაზე ათი წლის სინდი გაჩერდა და გაუღიმა.

—როგორ გამასულელეთ! — ჩუმად ჩაილაპარაკა ფსიქოლოგმა, — საინტერესოა, რისთვის დაგჭირდათ ეს?

—არავისაც არ გაუსულელებიხართ, — არ დაეთანხმა გოგონა, — უბრალოდ მე თქვენს დირექტორს სიმართლეს ვერ მოვუყვებოდი.

—მაინც რატომ?

—იმიტომ, რომ მაშინ ჩაიშლება ის ამბავი, რომლის დაწერაზეც თქვენ ოცნებობდით. ნამდვილ ამბავს ფანტასტიკად ხომ ვერ გაასაღებ და...

—მაშასადამე. შენ მაინც ერთი არა ხარ?

—ამ წუთში ერთი ვარ. მომავალ შეხვედრამდე, მისტერ ელი! — გოგონა შებრუნდა და წავიდა. მერე მოიხედა და ხელი ასწია. ექიმმა ელიმ უმალ ოთხი ხელი და ოთხი სინდის მომღიმარი სახეები დაინახა.

—გაიმეორეთ ჩემთან ერთად — თქვა მის პელიმ, — „კატა ფანჯარაში ზის“, სამი-ოთხი...

დაწყებითი კლასების მასწავლებლები ისევ ჩვეულებრივად ატარებდნენ გაკვეთილს.

დები ელიანები აღარ დაბრუნებულან სკოლაში, წავიდა მისტერ ელიც, რომლის ახალი წიგნი სულ მალე უნდა გამოცემულიყო.

—„კატა ფანჯარაში ზის“, — მორჩილად იმეორებდნენ მოსწავლეები. მარტო ერთი გოგონა დუმდა, კუთხეში რომ იჯდა, ფანჯარასთან.

—კაროლინა! — მკაცრად მიმართა მის პელიმ, — რატომ არ იმეორებ ლექსს?!

—ჩემს სამშობლოში კატები ფანჯრებში არ სხედან, — მიუგო გოგონამ. მის პელი გაფითრდა.

—ჩვენი კატები სამი მეტრის სიმაღლისა, — განაგრძო კაროლინამ, და ცისარტყელასავით ფერადები არიან.

მასწავლებელს ცარცი ხელიდან გაუვარდა. შურდულივით გავარდა კლასიდან. ისე მიჰქროდა დერეფანში, გეგონებოდათ, მოჩვენება მისდევსო. სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტთანღა შედგა. სული მოითქვა, დააკაკუნა, შევიდა... გაოცებისგან პირი დაალო. მის წინ დივანზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ მის კლაუდი, მის ტრიმბლი და მისტერ ლი. მაგიდასთან კი მწვანეთვალება, სახემღიმარი ქალიშვილი იდგა, რომელიც მის პელის აშკარად სადღაც ჰყავდა ნანახი.

—მოხარული ვარ თქვენი ნახვის, მის პელ, — თქვა ქალიშვილმა, — მე სინდი ელიანა გახლავართ, თქვენი ახალი ფსიქოლოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო კიდით კიდემდე



## ტაილანდი

### „ვეფხვების ტაძარი“



ვატ პა ლუანგთა ბუას ბუდისტურ მონასტერში, რომელიც „ვეფხვების ტაძრის“ სახელითაც არის ცნობილი, ბიჭებს ბერებისთვის ამზადებენ. მომავალი ბერები დილით ძალზე ადრე, 5 საათზე დგებიან, ხელ-პირს იბანენ, იატაკს ჰგვიან და საუზმისთვის ჭურჭელს აწყობენ. მერე მათ მეცადინეობა ეწყებათ, ბიჭები სწავლობენ მათემატიკას, წერა-კითხვას და ბუდიზმს, ძილის წინ კი ერთ საათს მედიტაციას უთმობენ. ეს მონასტერი იმითაც არის ცნობილი, რომ აქაური ბერები და მათთან ერთად პატარა ბიჭებიც ჯუნგლებში ნაპოვნ დაჭრილ ცხოველებს და ფრინველებს მკურნალობენ, უვლიან და უკანვე უშვებენ, ზოგი ცხოველი კი სამუდამოდ რჩება აქ. ბოლო დროს მონასტერში ობლად დარჩენილ ვეფხვის ბოკვერებს პატრონობენ, ისე რომ, აქაურობა თანდათან იქცა გადაშენების გზაზე მდგარი ინდოჩინური ვეფხვის გადარჩენის ცენტრად. მოზრდილი ვეფხვები დიდ გალიებში ჰყავთ, თუმცა ბერები ყოველდღე ასეირნებენ მათ, თავისუფლად კი მონასტერში მარტო ყველაზე პატარა ბოკვერები დასეირნობენ, რომლებსაც უმთავრესად ბიჭები მეურვეობენ.

## რუმინეთი

### ზარმაცები საღორეს ასუფთავებენ

რუმინეთის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში ზარმაცი და გაკვეთილების გამცდენი მოსწავლეებისთვის ორიგინალური სასჯელი შემოიღეს. ის გოგო-ბიჭები, რომლებზეც არც დატუქსვა გაჭრის, არც მშობლების დაბარება და მაინც გააგრძელებენ ზარმაცობას და გაკვეთილების გაცდენას, იძულების წესით საღორეებს დაასუფთავებენ.

## აშშ

### კინოაკადემიის ახალი წევრი 12 წლისაა



ჰოლივუდის ვარსკვლავად აღიარებული 12 წლის დაკოტა ფანინგი ამერიკის კინოაკადემიის წევრად მიიღეს. შვიდი წლის იყო დაკოტა, როდესაც ისე დამაჯერებლად ითამაშა ფილმში „მე — სემი“, რომ მაყურებლები ცრემლებს ვერ იკავებდნენ. კინოს გარდა, პატარა ვარსკვლავს სხვა გატაცებებიც აქვს: ვიოლინო, ბალეტი, ცხენოსნობა, ესპანური ენა. კიდევ მას ქსოვაც უყვარს. თავისი ნახელავი შარფები დაკოტამ კინოპარტნიორებს ტომ კრუზსა და რობერტ დე ნიროსაც ჩუქა.

## ავსტრია

### მოცარტის საპატივცემულოდ



წლევანდელი წელი მოცარტის საიუბილეო წელია, დიდი კომპოზიტორის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მისი 250 წლისთავი თავისებურად აღნიშნეს.

წითელ კამზოლებში, ატლასის პანტალონებში და თეთრ წინდებში გამოწყობილმა თავზე თეთრპარიკიანმა ბიჭებმა (სწორედ ასე იცვამდნენ მოცარტის ეპოქაში) მოცარტის მუსიკის ქვეშ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

## ინგლისი

### ბავშვობაში სიმსუქნე ძალზე საშიშია

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ ბავშვს 11 წლის ასაკში ჭარბი წონა აქვს, სიმსუქნესთან დაკავშირებული პრობლემები მას სიჭაბუკეშიც გაჰყვება და მოწიფულ ასაკშიც. ექიმების დასკვნით, 10 წლის მსუქან ბავშვებში ხშირად შეინიშნება გულის დაავადებების, დიაბეტისა და ღვიძლის დაავადებების ნიშნები. დასკვნა ცალსახაა... მსუქან მოსწავლეს მანამდე უნდა დავეხმაროთ წონის დაკლებაში სანამ ის მოზრდილი გახდება.

# SOSLAND-ში ბავშვებს ეხმარებიან

**გვესაუბრება ფონდის „Sosland" ხელმძღვანელი, ცნობილი მომღერალი თემურ წიკლაური.**

**—ბატონო თემურ, რას ნიშნავს თქვენი ფონდის სახელწოდება და როდის და ვისი მესვეურობით დაარსდა იგი?**

—მოგეხსენებათ, მთელ მსოფლიოში მიღებული განსაცდელის მაუწყებელი სიგნალი SOS ასე იშიფრება — იხსენით ჩვენი სულები. ჩვენს ფონდს ეს სახელი იმიტომ დავარქვით, რომ ყველასთვის საცნაური გავხადოთ, ყველას შევახსენოთ, რომ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, გაჭირვებულ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება, სითბო. გაფრთხილება და დახმარება სჭირდებათ.





Sosland სამი წელია არსებობს, მისი შექმნის იდეა სოსლან ხარებოვს დაებადა, მანვე შემომთავაზა სათავეში ჩავდგომოდი მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასახმარებლად განკუთვნილ ფონდს. შესანიშნავი იდეა იდეადვე დარჩებოდა და ვერც მე შევძლებდი მარტო ვერაფერს, რომ არა ჩემი მეგობრების, ახლობლების თუ ნაცნობების ფინანსური და სულიერი თანადგომა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა მათგანს და პირველ რიგში ვასილ ბოლაშვილს, რომელმაც დიდსულოვნება გამოიჩინა და ქალაქის ცენტრში, სამტუმრო „ლევილში" ფართი დაგვითმო. ცხადია, დროდადრო მეც შემაქვს ჩემი წვლილი ფონდში, მოგეხსენებათ, გარდა იმისა, რომ აქ, საქართველოში, მაქვს ხოლმე კონცერტები, სხვა ქვეყნებშიც მიწვევენ, ცოტას აქედან შემოსულს ვახმარ ფონდს, ცოტას სხვები გვაშველებენ და ასე გაგვაქვს თავი, ასე უზრუნველვყოფთ ბავშვების უფასო სწავლებას.

**—რას სწავლობენ ბავშვები Sosland-ში?**

—ძირითადად კომპიუტერზე მუშაობას და ინგლისურს და ამიტომ ბავშვების მიღებას 15 წლის ასაკიდან ვიწყებთ, მეცადინეობა ორ ნაკადად მიმდინარეობს. ვინც სკოლაში დილის ცვლაშია, ჩვენთან 3-დან 6 საათამდე სწავლობს, ის კი ვინც — მეორე ცვლაშია, Sosland-ში დილით მოდის და 12 საათამდე მეცადინეობს. ყველა ჩვენი პედაგოგი მაღალი დონის პროფესიონალი და ბავშვების მეგობარია. ამიტომაც მთელი სასწავლო პროცესი ჰარმონიულად მიმდინარეობს. დროდადრო ბავშვებთან შესახვედრად ვიწვევთ ცნობილ პიროვნებებს, სასულიერო პირებს, რომლებიც მათთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხზე ესაუბრებიან მათ. ბავშვები ფონდში სრულყოფილად ეუფლებიან კომპიუტერს, რაც მათ სამომავლოდ დიდ პერსპექტივებს უსახავს. სწავლების სამთვიან კურსს რომ გაივლიან, მათ შესაბამისი სერთიფიკატები ეძლევათ. გავცემთ სამი სახის სერთიფიკატს. ოქროს სერტიფიკატებს ფრიადოსნები იღებენ, ოთხოსნებს ვერცხლის სერტიფიკატებს ვაძლევთ, ისინი კი, ვინც საშუალოდ სწავლობენ, ჩვეულებრივ სერტიფიკატებს იმსახურებენ. წახალისების ამ ფორმამ გაამართლა და ყველა ცდილობს მეტს მიაღწიოს, მით უმეტეს, რომ ფირმა „ბადაგონის" პრეზიდენტმა ბატონმა თეიმურაზ უბილავამ წარჩინებული მოსწავლეებისთვის სტიპენდიები დააწესა, სამი საუკეთესო მოსწავლე 100-100 ლარს იღებს კიდევ ოთხი კი (ვისაც ფრიადოსნებზე ოდნავ უარესი მაჩვენებლები აქვს) 50-50 ლარს. ბავშვები ჩვენთან დღეში ერთხელ უფასოდ ჭამენ, ღებულობენ გზის ფულს. ჩვენი მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში ვცდილობთ ყველა ბავშვს რაღაცნაირად აღვუნიშნოთ დაბადების დღე — ვჩუქნით წიგნს, ხატს, სანთელს, საკმეველს და ა.შ.

**—ბავშვებს რა ნიშნით არჩევთ?**

—შერჩევა ხდება სკოლებში, ბავშვთა სახლებში, ინტერნატებში, გარდა იმისა, რომ ჩვენ თვითონაც დავდივართ ყველა ამ დაწესებულებაში, გამგეობებიც გვაწვდიან სოციალურად გაჭირვებული ოჯახების სიას. მაგალითად, ასე გავიცანით ერთი მრავალშვილიანი ქალბატონი, მასაც და მის ექვსივე შვილსაც კომპიუტერიც ვასწავლეთ და ინგლისურიც. ასევე გაიარა სწავლების სრული კურსი ჩვენთან წყნეთში მცხოვრებმა 150 ლტოლვილმა ბავშვმა.

**—თქვენი ფონდი მარტო თბილისში მოქმედებს?**

—რუსთავშიც გვაქვს ფონდის ფილიალი, რომელსაც ბესო ქავთარაძე ხელმძღვანელობს, იქ 50 ბავშვი სწავლობს, პროგრამა და პირობები ისეთივეა, როგორიც თბილისში.

ჩვენ ყველანი, ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად შევუმსუბუქოთ ყოფა სხვადასხვა მიზეზით დაჩაგრულ ბავშვებს, მოვამზადოთ ისინი ცხოვრებისთვის, შევძინოთ ცოდნა და საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები და მათი სახით ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლის მშენებლები მოვამზადოთ.

ესაუბრა
**ნათია ნიკოლაიშვილი**



**გიორგი გეგეჭკორი** თბილისის მე-11 საჯარო სკოლის მეექვსეკლასელია, იგი მუსიკალურ სკოლაშიც მეექვსე კლასშია, ფორტეპიანოს განხრით. გიორგი გულმოდგინედ ეუფლება ინგლისურ და რუსულ ენებს. უყვარს წიგნების კითხვა, უფრო კი სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურა მოსწონს. ძალიან უყვარს ფეხბურთი, თუმცა თვითონ არ თამაშობს, ტელევიზორში არც ერთ მნიშვნელოვან მატჩს არ აცდენს. კომპიუტერული თამაშებიც იტაცებს, მაგრამ კომპიუტერი ამაწინათ ძამიკომ, სამი წლის საბამ გაუფუჭა, ისე რომ იძულებითი შესვენება აქვს.

## მარი

შენ ზღვის ფერი თვალები გაქვს,
თვითონ ჰგავხარ ზღვას,
ღელავ, როგორც თოლიები,
აფარფატებ ფრთას.
შენ ისეთი ლამაზი ხარ,
როგორც ღელავს ზღვა,
მე, ასეთი სიყვარული
არ მინახავს სხვა.
გემზე თეთრი აფრებია,
შენ კი უმზერ სხვას,
მე მიყურე, ჩემო კარგო,
მე გაგიკვლევ გზას.

* * *

მოხვალ და ისევ
მზის სხივები ჩაიცვამს კაბას,
და იმ ზეცის ქვეშ
უსიყვარულოდ უნდა ვეძიო,
მე, ვიცოცხლებდი უმზეოდ,
მაგრამ ვერ ვიცოცხლებ უშენოდ.
და ისევ მოხვალ,
მზის სხივები ჩაიცვამს კაბას,
ატმისფერ ყვავილს
სიყვარულით, რომ შეგადარო
მე, ვიცოცხლებდი უმზეოდ
და ვერ ვიცოცხლებდი უპოეზიოდ.

## რას ნაცრობს წყარო



მთაში დავიბადე, მთაშივე გავიზარდე. უზარმაზარი კლდეებიდან გამოვძვერი და დიდებული სამყარო დავინახე. მარჯვენა მხარეს ტყე და მთები გადმომყურებდა, მარცხენა მხარეს კი ჟოლოსა და ჩაის ბუჩქები. ირგვლივ უამრავი ყვავილი შემომხაროდა და ხელს მიქნევდა. ბუნების დანახვამ ისე გამაოცა, არ ვიცოდი, რა მექნა, თავი ამაყად დავიჭირე და მადლობის ნიშნად წვრილი მარგალიტები ანუ წყლის წვეთები შევაშხეფე.

ჩიტუნები ნაზი ჟღურტულით თავს მევლებოდნენ და პაწია ნისკარტებს წყლით ისველებდნენ. მთიდან ბარში დავეშვი და აღტაცებით დაბორიალებული აქეთ-იქით ვაწყდებოდი.

მთიდან მომავალ სტუმრებს წყაროს წყლით გავუმასპინძლდი და ბოჩოლასაც მოვუკალი წყურვილი.

მინდა დიდხანს ვიცოცხლო, მზემ არ დამაშროს, მინდა სოფელი წყლით გავახარო.

ახლა კი მინდა დაგემშვიდობოთ და ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით მხიარულად გავაგრძელო გზა.

**მარი შარაძე**
*ქ. ბათუმი, №2 საჯარო სკოლა, IV კლასი*

## ფუტკრები

დაფუსფუსებენ, დაფუსფუსებენ,
ჭრელ ყვავილებზე მუშა ფუტკრები,
ნექტარს იღებენ სიამოვნებით
და სკებში მიაქვთ ზუზუნ-ზუზუნით.
თაფლს ამზადებენ დაუზარელად,
რომ ბავშვებს პირი ჩაუტკბარუნონ,
ჰეი, ფუტკრებო, კბენა რად გინდათ,
თაფლი აკეთეთ მუდამ და ბევრი.

**ნინო შარაძე**
*ქ. ბათუმი, სასულიერო გიმნაზია, III კლასი*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ? ? ?



გამომდინარე მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული სახელიდან — ლიგრ, რომელიც ლომისა და ვეფხვის ლათინური სახელების შეერთებით მიიღეს, წესით ქართულად ამ იშვიათ ცხოველს ლეფხვი უნდა ეწოდოს. საქმე ის არის, რომ სურათზე აღბეჭდილი ცხოველის ნადირთა მეფისა და კატისებრთა მეორე ულამაზესი წარმომადგენლის, ვეფხვის შვილის პატრიკის (ასე ჰქვია ამ ლეფხვს) მამა ლომი გახლავთ, დედა კი — ვეფხვი. ლეფხვებს თავს მამისეული ფაფარი უმშვენებთ, ტანი კი დედასავით ზოლიანი აქვთ. ლეფხვები ბუნებრივად ვერ გაჩნდებოდნენ, თუნდაც იმიტომ რომ ბუნებაში ერთმანეთის გვერდზე არ ცხოვრობენ, ისინი ორი სხვადასხვა სახეობის ხელოვნურად გამოყვანილ ჰიბრიდს წარმოადგენენ. ლეფხვები ძირითადად გასაყიდად ან კერძო ზოოპარკებში მნახველთა მოსაზიდად გამოჰყავთ. მეცნიერთა და ბუნების დამცველთა ნაწილი იწონებს ასეთ ექსპერიმენტს, სხვები კი მისი კატეგორიული წინაალმდეგნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა





**თამთა ქალდანი,** მესტიის რაიონი, სოფელ ჭუბერის საშუალო სკოლა



**ბერდია მჭედლიშვილი,**
ქ. რუსთავი,
სკოლა „მნათობი“,
VIII კლასი

## ქართლისა

ქალო, ქალო, ქვეყნის თვალო,
თამარო და დარეჯანო,
თქვენ აღმართეთ დიდი დროშა,
თქვენ არჩინეთ საქართველო.
ვაჟო, ვაჟო, ქვეყნის კაცო,
დავითო და გორგასალო,
თქვენ აღმართეთ ბასრი ხმალი,
თქვენ იცავდით საქართველოს.
ჯარო, ჯარო, ქვეყნის ფარო,
სამას ვაჟო, ცხრა ძმა კაჟო,
მთელმა ჩვენმა ქართველობამ,
თქვენებრ უნდა ივაჟკაცოს.

თუ გინდათ, რომ უფრო ლამაზები და მომხიბვლელები იყოთ, თმა მოდურად შეჭრილი და დავარცხნილი გქონდეთ, მოწესრიგებული და ლამაზი მოყვანილობის ფრჩხილებით მოიწონოთ თავი, ეწვიეთ სტუდია სალონს „ლუქსი“.

სალონის ხელმძღვანელია **ანჟელა შონია.**

„ლუქსი“ გთავაზობთ საუკეთესო სრულ სერვისს. სტუდია სალონში ესთეტურად ლამაზ და სასიამოვნო გარემოში სანიტარული ნორმების სრული დაცვით, მაღალ პროფესიულ დონეზე მოგემსახურებიან:

კოსმეტოლოგი, დერმატოლოგი, რომლებიც იმავდროულად ასაკობრივ თავისებურებებთან თუ სხვა მიზეზებთან დაკავშირებულ კანის პრობლემებზე კონსულტაციებსაც გაგიწევენ.

სალონში მუშაობს ყველა ტიპის ვარცხნილობის ოსტატი სტილისტი.

„ლუქსში“განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ბავშვებისა და თინეიჯერებისადმი, საბავშვო მანიკური, ფრჩხილების კვნეტის მავნე ჩვევის შედეგად დამახინჯებული ფრჩხილების მოწესრიგება-გალამაზება, ნატურალური პრეპარატების გამოყენებით, სადეზინფექციო და სტერილური პირობების სრული დაცვით.



**ფასები ყველასთვის მისაღებია.**
**ეწვიეთ „ლუქსს“, არ ინანებთ!**
**მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 11,**
**ტელეფონი“: 91-50-59.**
**კონსულტაციები: 877 78-25-48.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

ამერიკული როკ-მუსიკის ვარსკვლავმა დი სნაიდერმა დაწერა წიგნი „პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის ანუ როგორ ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ცხოვრებაში“. ეს არის გულახდილი საუბარი მოზარდებთან. რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე უამრავ ინტიმურ და ფსიქოლოგიურად რთულ კითხვას აწყდებიან: როგორ გავერკვეთ საკუთარ თავში? როგორ ავაწყოთ ურთიერთობა ახლობლებთან? როგორ უნდა მოიქცეს ბიჭი გოგონასთან, გოგონა კი ბიჭთან? როგორ მოვძებნოთ ცხოვრების მიზანი? თავისი დაუდგრომელი და შფოთიანი სიყმაწვილის გამოცდილებიდან გამომდინარე, დი სნაიდერი უამრავ სასარგებლო და საქმიან რჩევას აძლევს მკითხველს.

ვფიქრობთ, ავტორის გულღია და გულითადი საუბრის შემდეგ თუ ყველა არა, ბევრი თქვენგანი მაინც ახლებურად შეხედავს და შეაფასებს საკუთარ პრობლემებს და მათ ღირსეულ გადაწყვეტასაც მიაგნებს.

მაშ ასე, თქვენ „10-დან 17 წლამდე ყველა ჭაბუკსა და ლედის, აგრეთვე მათ მზრუნველ მშობლებს“ მიუძღვნა როკ-ვარსკვლავმა ეს მშვენიერი წიგნი, ხოლო ჩვენმა ჟურნალმა თავს იდო, გაგაცნოთ მისი ნაწყვეტები.

## სიყვარული და მოზარდი

შენს სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები გაიძულებენ საპირისპირო სქესით დაინტერესდე. შენ ხედავ, თუ რა გემართება და გაინტერესებს, ნეტავ, სხვებს რაღა ემართებათო? რვიდან თორმეტ წლამდე ასაკში ბავშვები თავის მსგავსებთან თამაშს ამჯობინებენ და ხშირად გაურბიან კონტაქტებს საპირისპირო სქესთან. მაგრამ ცამეტ-თოთხმეტისა რომ ხდებიან, ყველაფერი იცვლება.

რამდენადაც მახსოვს, ჩემთვის მკვეთრი შემობრუნება მეექვსე კლასში დაიწყო.

ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ბორკილები დაიმსხვრა, გოგონებისა და ბიჭების გამყოფი კედლები დაინგრა და ჩვენ ერთმანეთი დავინახეთ. მახსოვს, როგორ ვბრუნდებოდით სკოლიდან, ბიჭები აუცილებლად შინ მივდიოდით და ხმამაღლა ვმსჯელობდით საოცრად სერიოზულ თემებზე (სპორტსა და მანქანებზე, გოგოები კი უკან მოსეირნობდნენ, ჩურჩულებდნენ და ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ, ქირქილებდნენ).

მოულოდნელად მათ ჩვენი სიარულისადმი ცხოველი ინტერესი გაუჩნდათ. მე ძალიან განვიცდიდი, ვღელავდი — ნეტავ, მე როგორი სიარული მაქვს, სექსუალური თუ არა-მეთქი (ვინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს?), და სულ სხვადასხვანაირად დავდიოდი, ხან — ისე, ხან — ასე. რომ იცოდეთ, ერთ-ერთმა ვარიანტმა მართლაც მიაღწია მიზანს... გოგოებმა იმსჯელეს და მაცნობეს: „დი, შენ მაგარი სიარული გაქვს“. ბედნიერებისაგან ფეხქვეშ მიწას ველარ ვგრძნობდი — და მადლობა ღმერთს, თორემ ქუსლები გადაღლეტილი მქონდა.

შვიდი წლისას უკვე მყავდა შეყვარებული, მეექვსე კლასამდე კი ერთი-ორჯერ კოცნაც კი მოვახერხე.

მაგრამ მერე ძალზე საზიზღარ (გარეგნობის თვალსაზრისით), შავბნელ პერიოდში შევაბიჯე, რომელსაც ისტორიაში შუა საუკუნეებს უწოდებენ; ეს რაღაც გამყინვარების პერიოდს ჰგავს, მაგრამ სასაცილო სულაც არ არის.

მძიმე დრო იყო. გოგოების მეშინოდა და არავისაც არ ვხვდებოდი. ხოლო თუ ვხვდებოდი, ნაღდი იდიოტივით ვიქცეოდი, იმიტომ, რომ წამითაც არ მავიწყდებოდა, რომ ნაღდი იდიოტივით არ უნდა მოვქცეულიყავი. ერთ მაგალითს გიამბობთ (ილუსტრაციისათვის).

მე თოთხმეტი წლის ვიყავი, მას კი ჯეკი ერქვა და ურიგო გოგო სულაც არ იყო. ორ ჩემს ძმაკაცსაც უყვარდა ჯეკი და ვერა და ვერ გავრკვეულიყავით — ჩვენ სამიდან ყველაზე მეტად რომელი მოვწონდით?

ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: თითოეული ჩვენგანი რიგრიგობით უნიშნავს ჯეკის პაემანს, ის კი თვითონ აირჩევს რომელი ჩვენგანი მოსწონს სხვებზე მეტად.



ო, რა თავაზიანად გვეჭირა თავი!

ჩემი რიგი შემოდგომის ნათელ, თუმცა კი ქარიან დღეს დაემთხვა. მე და ჯეკი ქუჩაში ვსეირნობდით, უბრალოდ ვლაქლაქებდით. მე კი ნამდვილი ყეყეჩივით ვიქცეოდი, ვცდილობდი ისეთი არ ვყოფილიყავი, როგორიც სინამდვილეში ვიყავი: თავდაჯერებულ და გონებამახვილ მაგარ ბიჭს ვთამაშობდი. მიუხედავად ამისა, ჩემი შანსები იზრდებოდა: ვხვდებოდი, რომ ჩემი შემყურე, ჯეკი უბრალოდ გაოცებული იყო. ნუ მკითხავთ რატომ, მაგრამ ითვლებოდა, რომ ბიჭებიდან მე ყველაზე უკეთესად ვიფურთხებოდი. ჰოდა, გადავწყვიტე თავი მომეწონებინა და ეს ჩემი ნიჭი თუ უნარი მეჩვენებინა ჯეკისთვის და საგანგებოდ მისთვის შემესრულებინა ეს ნომერი.

გადავაფურთხე ქარის საწინააღმდეგოდ და ფურთხი ზუსტად ბლუზაზე მოხვდა ჯეკის. გავოგნდი. გულგახეთქილმა ფურთხის მოწმენდა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მთელი ქუჩის დასანახად ჯეკის მარჯვენა მკერდზე უშნოდ წავეპოტინე და ფურთხი მარცხენაზე გავაგლისე. ჯეკი შეცბუნდა, ეს რომ დავინახე, ადგილიდან მოვწყდი. თითქოს ქარმა წამიღოო (შეგახსენებთ, რომ ქარიანი დღე იყო). ყველაფერი ამით დამთავრდა.

## ნორჩი სიყვარული

შესაძლოა, შენი სიყვარული თხუთმეტი ან თვრამეტი წლის ასაკში განსხვავდება იმ მოწიფული სიყვარულისაგან, მოგვიანებით რომ გეწვევა, მაგრამ ძმებო, ეს სიყვარულიც ნამდვილია, მიუხედავად იმისა, ქორწინებით მთავრდება იგი თუ იმსხვრევა და რამდენიმე კვირაში კვდება. ეს შენი გრძნობა ძალიან ძლიერია, იმიტომ, რომ სიცოცხლეში პირველად ხარ შეყვარებული. ახლა რამდენი როკ-სიმღერაა დაწერილი ამ პირველ სიყვარულზე, როცა ხელები გიკანკალებს, გული კი ძალუმად გიცემს.

შენი პირველი სიყვარული ჯერ ისე მიამიტია, მაგრამ შენს გულში მისთვის სიცოცხლის ბოლომდე იქნება შემონახული განსაკუთრებული ადგილი.

მე, რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს ჩემი პირველი „ნამდვილი გოგო“. ის სხვა სკოლიდან გადმოვიდა ჩვენთან, და პირველად სიმღერის გუნდში დავინახე. „ეს გოგო ვინ არის? — იდაყვი გავკარი ძმაკაცს. — უნდა მივხედოთ“. გადაწყვეტა ადვილია. გაკეთებაა ძნელი. იმ გოგოს მიაჩნდა, რომ კარგი ბჭი ვიყავი, მაგრამ გარეგნულად, დელიკატურად რომ ვთქვათ, უშნო გახლდით. ვითომ შეიძლებოდა, რომ ვინმეს სხვაგვარი აზრი ჰქონოდა! ამას ისიც ემატებოდა, რომ იგი



ერთ ბიჭს ხვდებოდა, რომელიც კოლეჯში სწავლობდა. თავიდან უბრალოდ მეგობრები ვიყავით, მაგრამ მე ათასნაირ ხრიკს მივმართავდი, და ბოლოს და ბოლოს მან სტუდენტი ჯო უფროსკლასელი დით შეცვალა.

მე აღფრთოვანებული ვიყავი, და როგორც მეჩვენებოდა, თავდავიწყებით მიყვარდა ის გოგო. ჩვენ ქუჩებში დავსეირნობდით, პატარა მოხუცი ქალები გვიღიმოდნენ, მამაკაცები კი ქუდს გვიხდიდნენ, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ — ერთი სიტყვით, იყო მთელი ის რომანტიკული სამზარეულო, რომლის ნახვაც ოცდაათი წლისწინანდელ ფილმებში შეიძლება. უკან რომ ვიხედები, ვხვდები, რომ ჩვენი ურთიერთლტოლვა წმინდა ფიზიკური იყო. ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებოდით: „მე შენ მიყვარხარ“, არადა წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რა არის სიყვარული. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს ნამდვილი გრძნობა გვეგონა. ის კი არა, მე მამასაც კი გამოვუცხადე, ოდესმე დავქორწინდები-მეთქი, მამა ჩემს განცხადებას იუმორის გრძნობით შეხვდა. ჩვენ სკოლის დამთავრებისთანავე დავცილდით ერთმანეთს, და მამაჩემს არასოდეს შეუხსენებია ჩემთვის ეს ამბავი.

ჩემს მომავალ ცოლს, სიუზეტს რომ შევხვდი, მივხვდი, თუ რა განსხვავებაა ფიზიკურ ლტოლვასა და ღრმა, სულიერ სიყვარულს შორის.

მაგრამ ყოველივე ეს ერთბაშად სულაც არ მომხდარა. თუ მე ერთი ნახვით შემიყვარდა სიუზეტი, მან ერთი ნახვით შემიძულა. პირველად „თვისთედ სისტერის“ შემადგენლობაში რომ დამინახა ლონგ-აილენდის ერთ-ერთ კლუბში, აზრადაც არ მომსვლია, რომ როდისმე მისი ქმარი გავხდებოდი. ასეთი რამ ვერც მისი ოჯახის წევრებს გაუელვებდა თავში.

იმ დროს ძალიან მომწონდა საკუთარი თავი „ნაღდ მამაკაცს“, თავით ფეხებამდე როკ-ვარსკვლავს, ერთი სიტყვით, რეგვენს ვთამაშობდი.

ქალების უმრავლესობაზე ეს შთაბეჭდილებას ახდენდა, ოღონდ არა სიუზეტზე — ამიტომაც უფრო და უფრო მეტად მომწონდა. მას კი სულ არ მოვწონდი, თუმცა მაინც მხვდებოდა, იმიტომ, რომ უარს ვერ მეუბნებოდა —მეტისმეტად კარგად იყო აღზრდილი. მე კი მეჩვენებოდა, რომ ჩემი „მამაკაცურობის“ წინაშე ვერაფერს აწყობდა.

ჰოდა, ვიდრე ნამდვილ სიყვარულზე დაგიწყებდეთ ტვინის ხვრეტას, ახლავე და სავსებით გარკვევით გეტყვით, მეგობრებო: მე სრული კრეტინი ვიყავი, წერტილი.

## ვიდრე სიყვარული მოვიდოდეს

იმაზე, თუ რა არის სიყვარული ჩვენ დღეებში, ცათამბჯენებივით მზარდი გაყრების რაოდენობა მეტყველებს. შეიძლება, ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, როგორ უნდა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეწყვნენ ერთმანეთს, შეიძლება იმაზე არ დაქორწინდნენ, ვიზეც საჭირო იყო. ვინ იცის...

მე ვფიქრობ, ყველა ამ უიღბლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბევრმა კაცმა და ქალმა უბრალოდ სიყმაწვილეშიც კი არ იცის, როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი.

კი ბატონო, პაემანებზე დარბიან, ზოგი მათგანი შეყვარებულიც არის ხოლმე, მაგრამ ცოტა მათგანი თუ ხვდება, რომ ყველაფერთან ერთად, მათ შეუძლიათ ნამდვილი მეგობრები იყვნენ, არადა, ეს ყოველივე დანარჩენზე ბევრად მნიშვნელოვანია.

ყოველი სქესი ეჭვით ეკიდება მეორეს. ქალებს ხშირად ჰგონიათ, რომ მამაკაცებს მათი ლოგინში შეტყუება უნდათ (და მათ ეს უნდათ), მამაკაცები კი ხშირად ფიქრობენ, რომ ქალებს მათი ქორწინებაში შეტყუება უნდათ (ესეც მართალია). მე მყავს მეგობრები, რომლებიც თავიანთ ცოლებში ხედავენ საყვარლებს, მათი შვილების დედებსა და დიასახლისებს, ოღონდ არამც და არამც თანასწორ პარტნიორებს. მე ისეთ ქალებსაც ვიცნობ, რომლებიც საკუთარ ქმრებში აფასებენ ფულის შოვნის უნარს, კარგ მამას, მაგრამ სულ არ აფასებენ მათში მეგობრებს. სიუზეტი ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარია ამქვეყნად. მე მასთან ყველაზე უკეთესად ვგრძნობ თავს. როცა გასტროლებზე მივემგზავრები, ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის დავრუნდები შინ, სიუზეტთან და ჯესისთან. მათ გარეშე ჩემი ცხოვრება სრული არ არის.

და თუმცა ვთქვი, ერთი ნახვით შემიყვარდა-მეთქი ეს სწორი არ არის — სიყვარული ისე, უცბად არ ჩნდება ჩვენში: იგი იზრდება ჩვენში და ვიდრე შეყვარებული გახდებით, მეგობრები უნდა გახდეთ.

ურთიერთობათა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, როცა თქვენ ერთმანეთთან ყოფნა მოგწონთ.

სხვათაშორის, იმისათვის, რათა საპირისპირო სქესის ადამიანთან იმეგობრო, სულაც არ არის საჭირო მასთან „რომანის გაჩაღება".

მოწიფული სიყვარული შეიძლება ნებისმიერ ასაკში ეწვიოს ადამიანს, და ამ მოწიფულ სიყვარულში შენ ახალი როლებიც გიჩნდება. როცა თქვენ ჯერ კიდევ უბრალოდ ხვდებით ერთმანეთს, შენ შეგიძლია საუკეთე[ს]ო მხრიდან წარუდგე გოგონას. როცა ურთიერთობა უფრო მჭიდრო ხდება და თქვენ ლამის ყოველდღე ერთად ხართ, ანაზდად ხდება ისე, რომ შენ მთლად კარგად არ გამოიყურები. ის ხედავს, რომ შენ ზოგჯერ ცუდ ხა-



სიათზე ხარ ხოლმე, რომ თურმე რაღაც-რაღაც ცუდი ჩვევებიც გქონია. შენ კი არ მოგწონს, რომ ხანდახან მას ძველი კაბა აცვია, რომელიც აშკარად არ ჰგავს დანარჩენ მის „ძონძებს", ზოგჯერ მისი აბურძგნილი თმაც გაღიზიანებს, ბოლოს და ბოლოს თქვენ ერთმანეთის ნამდვილ, ბუნებრივ და უმწეო სახეს ხედავთ. მოწიფულ სიყვარულში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ შენ იმისთვის კი არ უყვარხარ შენს მეგობარს, თუ როგორ გამოიყურები, არამედ იმისთვის, თუ როგორი ადამიანი ხარ ყველა შენი სუსტი თუ ძლიერი მხარით.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შენ და შენი ჩვევები ისე უნდა მიიღონ, როგორც რაღაც თავისთავადი — ასეთი შეცდომა შეიძლება სულ ადვილად მოგივიდეს, განსაკუთრებით თუ საყვარელი ადამიანის საზოგადოებაში თავს სავსებით კომფორტულად გრძნობ. სხვათა შორის, ასეთი რამ მეც დამემართა. როცა მეგობრებთან ერთად მივდიოდი სადმე, ვცდილობდი რაც შეიძლება უკეთესი შესახედი ვყოფილიყავი. შინ კი იმდენად მყუდროდ ვგრძნობდი თავს, რომ წვერსაც კი არ ვიპარსავდი და მთელი დღეები დივანზე ვიყავი წამოწოლილი, მარტო ის მაღელვებდა, რომ გარეთ ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც საჭირო იყო, იმაზე კი სულ არ ვფიქრობდი, რისი ყურება უწევდა სიუზეტს. ეს ადრე, ახლა კი ყველანაირად ვცდილობ, ისიც მუდამ კარგად ჩაცმულდახურულსა და გაპარსულ-დავარცხნილს მხედავდეს, იმიტომ რომ მე ის მიყვარს და მიმაჩნია, რომ დანარჩენებზე მეტად იმსახურებს ჩემს ძალისხმევას.

ყველაზე მტკიცე და ნაზ ურთიერთობასაც კი სჭირდება ზოგჯერ წახმარება იქნება აღმაფრენაც, დაცემაც, კინკლაობაც და გაბუტვაც, სიყვარული შრომას მოითხოვს, მაგრამ, როგორც ნებისმიერ კარგ შრომას, მასაც მოაქვს სიხარული. აუცილებელია ურთიერთობა, ერთმანეთის მოთხოვნილების ცოდნა-გათვალისწინება. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ადამიანი ისეთი უნდა გიყვარდეთ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც შენ გინდა რომ იყოს.

სიყვარული ენერგიით გვავსებს და, როცა გვიყვარს, ჩვენ თავს უკეთ ვგრძნობთ. ვფიქრობ, მწერალმა-ფანტასტიკოსმა რობერტ ჰაინლაინმა ძალიან კარგი განსაზღვრება მისცა სიყვარულს: „სიყვარული ის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ბედნიერი ვერ იქნები, თუ შენი საყვარელი ადამიანი არ არის ბედნიერი".

უმწიფარი სიყვარული ეგოისტურია, იმიტომ, რომ შენ უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავზე ზრუნავ, მხოლოდ საკუთარი ნებისა თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ფიქრობ. ასეთი სიყვარული ანგრევს, იმიტომ რომ მუდმივ კინკლაობას, ეჭვიანობას და დაურწმუნებლობას იწვევს.

# საქართველოს მომავალი



ლუკა ბარბაქაძე, თორნიკე ლობჟანიძე, გუგა მუზაშვილი, ილია ბაკურაძე, ანა ბაჩუკიშვილი და სალომე გობეჯიშვილი არც დასვენებაზე სცილდებიან რუსუდან მასწავლებელს.



რუსუდან არეშიძე ბავშვობიდან ოცნებობდა მასწავლებლობაზე, მაგრამ მშობლებს ანგარიში გაუწია და თბილისის №1 სკოლის დამთავრების შემდეგ მათი რჩევით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს კი იმუშავა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსად წყალთა მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ მერე იმდენად ძალუმად იგრძნო, რომ მისი მოწოდება მაინც პედაგოგობა იყო, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაწყებითი კლასების სპეციალობის სტუდენტი გახდა და 1997 წელს, როცა საკუთარი შვილები, ომარი და სოფიკო წამოაჩიტა, თბილისის 69-ე საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ოთხი წელი იმუშავა აქ, 2001 წელს კი სამუშაოდ გადავიდა №1 გიმნაზიაში (ამჟამად №1 საჯარო სკოლა), რომელიც 26 წლის წინ თვითონვე დაამთავრა. შარშან რუსუდან მასწავლებელი მეოთხეკლასელთა მისთვის პირველ გამოშვებას დაემშვიდობა და თან გაატანა მათთვის უშურველად გაცემული გულის სითბო, სიკეთე და სიყვარული, მათთან განშორებით მოგვრილი გულისტკივილი კი იმ თვალმახარა გოგო-ბიჭებმა გაუქარვეს, წელს რომ შეაღეს სკოლის კარი. ძალიან, ძალიან უყვართ პირველკლასელებს რუსუდან მასწავლებელი, ის მათთვის ყველაზე ლამაზიც არის და ყველაზე კეთილიც, ყველაზე ჭკვიანიც და ყველაზე მცოდნეც.



ტყუპი ძმები
ცოტნე და რატი წვერავები



რუსუდან არეშიძე კიდევ ერთხელ ამოწმებს ანასტასია კორძაიას, ლევან ყუფარაძის, ლევან მაჭავარიანისა და ანი ხოზრევანიძის ცოდნას.



იმ დღეს გაკვეთილზე ყველაზე მეტად ირაკლი ჭითანავა, ელენე ბეთლემიშვილი, მარიამ შუკაკიძე, ანი ტატინაშვილი, მარიამ ქემაშვილი და გიორგი ყვავაძე აქტიურობდნენ.



ნეტავ მასწავლებელს თუ მოეწონება ჩვენი ნახატები, — ფიქრობენ მარიამ ამაშუკელი, ელუჯი არეშიძე, ცოტნე წვერავა და ნინო ლაბაძე.

ვარლამ გენგიურის ფოტორეპორტაჟი



# მუზა



საბა გოგიბერიძე თბილისის სკოლა-პანსიონ „მომავლის“ მე-4 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მან ხატვა ლაპარაკზე ადრე დაიწყო და თავის სათქმელს ნახატებით ამბობდა, სამყაროზე თავის შეხედულებასაც მათი საშუალებით გამოხატავდა. 2003 წლის აპრილში 5 წლის საბას პირველი ნახატები თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გამოიფინა. მას შემდეგ მან მრავალ გამოფენაში, კონკურსსა თუ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. 2005 წლის ივნისში საბას სკოლაში მოეწყო მისი ნახატების პირველი პერსონალური გამოფენა, პირველად სწორედ მაშინ იგრძნო მან, როგორი სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა დიდი თუ პატარა, მაშინ პირველად აევსო გული სიხარულით.

შემდეგ იყო გამოფენა ბულგარეთის ქ. ბორგასსა და სოზოპოლში, ფესტივალი მოსკოვში „მოსკოვი ხვდება მეგობრებს“, თბილისში „თბილისი ჩემი ქალაქი“, თურქეთის ქ. ალანიაში. საბა გოგიბერიძე დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, დიპლომით, ლაურეატის მედლითა და დიპლომით, ფასიანი საჩუქრებით.

2006 წლის 23 სექტემბერს საბამ მონაწილეობა მიიღო ვაჟა-ფშაველას 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალში „ვაჟაობა“, სადაც მას მიენიჭა ლაურეატის წოდება და დიპლომი.

ხატვის გარდა, საბას ფეხბურთიც ძალიან უყვარს, სკოლაშიც წარჩინებით სწავლობს, საფუძვლიანად ეუფლება ინგლისურ და რუსულ ენებს.



ქალის პორტრეტი



ჩემი მხარე



ბიჭი და ძაღლი



ნეპტუნი



დასვენება



გასეირნება

ანა მიქაბერიძე, თბილისის 151-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეა და პარალელურად ხელოვნების კოლეჯის სახვითი ხელოვნების განყოფილებაზე სწავლობს. ხუთი წლის ასაკიდან მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებში, დიპლომები და სერთიფიკატები მრავლად აქვს მიღებული. ანას ცეკვაც ძალიან უყვარს და გატაცებით სწავლობს ქართულ და ლათინოამერიკულ ცეკვებს, ხალისიანი და ნიჭიერი გოგონა აქაც ერთ-ერთი საუკეთესოა.

ანას ძალიან უყვარს სურათების გადაღებაც. მისი ფოტონამუშევრები საინტერესო ხედვით გამოირჩევა. პატარა ხელოვანი ოცნებობს თავისი ფოტოების გამოფენა მოაწყოს და თანატოლებს საკუთარი შემოქმედება გააცნოს.





მეფისცოფელი



სოფიკო ხუციშვილი



ადამი და ევა

10 წლის ამიკო ბახუტაშვილი კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის (ხელოვნების კოლეჯი) V კლასის მოსწავლეა. 6 წლის იყო როდესაც ხატვა დაიწყო, ხატვის ხელოვნების საწყისებს ნიჭიერი ბიჭუნა პედაგოგმა დიანა მიქაძემ აზიარა. ამიკომ სხვადასხვა დროს ორგანიზებულ არაერთ თემატურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, მიღებული აქვს მრავალი სიგელი, დიპლომი და სხვა ჯილდოები, გარდა ხატვისა, გატაცებულია სპორტით, დადის ცურვაზე და ძალიან უყვარს ფეხბურთი.











# საქართველოს მომავალი



თბილისის 22-ე საჯარო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი **მაყვალა ალელიშვილი**



თბილისის 22-ე საჯარო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი **მაია ბერიძე**



თბილისის 22-ე საჯარო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი **თათია ჩიხლაძე**

# წიგნის მარგალიტები



## ტარიელ ჭანტურია

### საქართველო

თვალდაშრეტილი დიდი ფშაველის
ცალი ცრემლით ხარ დატირებული.
შუბლკურთხეული · დიდი ილიას
წყვილი ცრემლით ხარ დატირებული.
ბალღი კეთილი – ამაყ რუსთაველს
დღემდე მოჰყავხარ ატატებული.
მე ვინ ვარ,
მაგრამ მინდა, იცოდე:
თავი შენთვის მაქვს გადადებული.

### გმირები

(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს;
ნინოს და თამარს.
თამარს და ნინოს;
და ისევ – თამარს!
თევდორე ხუცესს,
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..
ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედეთ ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
–საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!
დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და ზადენს;
ზადენს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით –
–ყოველთვის ვცხონდით!..

### შემოდგომა

ზღვიდან ამოსულ საწვიმარ ღრუბელს
გააფერადებს საღამო ტუშით
და ცისარტყელა, დამსკდარი ტუჩით,
გაქრება სოფლის მთავარი ქუჩით..
და შემოდგომის ფეშხუმის შხეფით,
კაკლების ბერტყვით,
მაღლების ყეფით
ვანდება ღამე... და „ირმის ნახტომს“
საბნიდან უჩანს ქათქათა ფეფი...
და სადაც სუფსას შეერთვის შუთი,
მეზობლის ზვართან ვეყოვნდები წუთით:
მიაქვს ბერიკაცს კვახების აცმა
და ყრმობის სევდა – ათასი ფუთი...

# ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ერთი პატარა სახელმწიფო

## ბრუნეი

აზიაში 5,8 კვადრატული კილომეტრის ფართობზე მდებარე ამ სახელმწიფოს სრული სახელი ბრუნეი დარუსალამი ქართულად ასე ითარგმნება — „ბრუნეი მშვიდობის სავანე“. დამოუკიდებლობას ბრუნეიმ 1984 წელს მიაღწია, მანამდე კი ის ბრიტანეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. ბრუნეიში 300 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მოსახლეობის უმრავლესობას მალაელები შეადგენენ, მრავლად არიან ჩინელებიც და დაიაკებიც. მორწმუნეთა უმრავლესობა მუსლიმანია. ოფიციალური ენებია მალაური და ინგლისური. ქვეყნის დედაქალაქია ბანდარ-სერი-ბეგავანი. სახელმწიფოს ახლანდელი მეთაური სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მის უზარმაზარ სასახლეში 1788 ოთახია, გარაჟი კი ასობით ავტომობილისთვის არის განკუთვნილი, სასახლის ტერიტორიაზე არის ვერტმფრენის მოედანი და კონდიცირებული თავლა 200 ცხენისათვის. ბრუნეელებს უყვართ ჰასანალი ბოლკიაჰი და სახალხო სულთანს ეძახიან მას. იგი ბევრს მოგზაურობს თავის ქვეყანაში, ხშირად ხვდება თავის ქვეშევრდომებს, რეგულარულად დადის საავადმყოფოებსა და სკოლებში, ავტორალებშიც სიამოვნებით მონაწილეობს. „სახალხო სულთანს“ 2 ცოლი და 10 შვილი ჰყავს.







ბრუნეის მთავარ სიმდიდრეს ნავთობი და გაზი წარმოადგენს, თუმცა საექსპორტოდ სახელმწიფოს კაუჩუკიც გააქვს და ხე-ტყის მასალაც.

ქვეყნის დედაქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ომარ ალი საიფუდინის საუცხოო მეჩეთი, რომლის მოოქრული გუმბათი ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანს. კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა, რომელსაც ტურისტებს აჩვენებენ, უჩვეულო სოფელი კამპუნგია, სადაც ყველა საცხოვრებელი სახლი, მაღაზია, სკოლა და მეჩეთი პირდაპირ წყალში ხიმინჯებზე დგას და ტრანსპორტიც აქ მხოლოდ ნავებია, რომლებიც ტაქსების დანიშნულებასაც ასრულებენ.

თუმცა ბრუნეიში სავალდებულო საშუალო განათლება არ არის, ბავშვების უმრავლესობა სიამოვნებით დადის სკოლაში.

აქვე ქვეყნისთვის დამახასიათებელ რამდენიმე უცნაურობაზეც უნდა გითხრათ: აქ არ შეიძლება ყვითელი ფერის ტანსაცმლის ჩაცმა, რადგან ეს სულთანის ფერია, აკრძალულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დაცემინება და ხელის ღონივრად ჩამორთმევა. ხოლო რაიმეს საჩვენებლად ჩვენგან განსხვავებით, საჩვენებელ თითს კი არ ხმარობენ, არამედ მარჯვენა ხელის ცერა თითს. ბრუნეის სახელმწიფო დროშაზე, რომელიც 1959 წელს შეიქმნა, ყვითელ ფონს თეთრი და შავი დახრილი ზოლები კვეთს, ზედ კი გამოსახულია გერბი ძალაუფლების სიმბოლოებით წითელი ანძით, ფრთებით და ქოლგით, ხელებით, რომლებიც ხალხზე ზრუნვის გამომხატველია.

ბრუნეის ფულადი ერთეულია ბრუნეის დოლარი.

## მალავი

რესპუბლიკა მალავი აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარეობს, უკავია 118,5 ათასი კვ.კმ. ფართობი, მოსახლეობა 7,23 მილიონი ადამიანია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს მალავის ეროვნების ხალხი, ცხოვრობენ აგრეთვე ჩევა, ტამბუკა, იაო, ნიანჯა და სხვა ხალხები. უმრავლესობა ადგილობრივ ტრადიციულ რელიგიებს მისდევს, დაახლოებით 40% ქრისტიანია, 10% კი მუსლიმანი. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პროტექტორატმა დამოუკიდებლობა 1966 წელს მოიპოვა. მალავის დედაქალაქია ლილონგვე.








ადგილობრივ ენაზე მალავი „ცეცხლოვან წყლებს ნიშნავს“, ეს პოეტური სახელი ქვეყანამ ნიასას ტბაზე მზის საოცრად ლამაზი ჩასვლის წყალობით მიიღო. ეს ტბა თავისი სიდიდით მესამეა აფრიკაში და თევზებისა და კიბორჩხალების უდიდესი ნაირგვარობით არის ცნობილი, სწორედ ამიტომ ჩამოდის აქ მთელი მსოფლიოდან ყოველწლიურად უამრავი ტურისტი მეთევზე. ტურისტებს წვიმების სეზონში მომრავლებულ ნიანგებზე ნადირობის უფლებაც ეძლევათ. გარდა იმისა, რომ მალავიში სპილოებიც მრავლად არიან, ეს ეგზოტიკური ქვეყანა იშვიათი სილამაზის ორქიდეებითაც არის განთქმული, აქ 400-ზე მეტი სახეობის ეს ყვავილია გავრცელებული.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ჩაის, თამბაქოს, მიწის თხილის, ბამბის, ტუნგოს, შაქრის ლერწმის ექსპორტი. მალავის სახელმწიფო დროშა სამფერია — შავი ფერი აფრიკის სიმბოლოა, მწვანე — მცენარეულის, წითელი — სიძლიერის, შავი ზოლის ფონზე გამოსახულია წითელივე კაშკაშა მზე. მრავალი სიმბოლური გამოსახულებით შემკული სახელმწიფო გერბის ფარი ლომსა და ლეოპარდს უპყრიათ, ქვევით კი წარწერაა: „ერთობა და თავისუფლება“. მალავის ეროვნული ვალუტაა მალავიური კვაჩა.

# ვინ? რა? როგორ? სად? როდის? რამდენი? რატომ?

## ახსოვთ თუ არა ცხოველებს საკუთარი მშობლები?

პატარები იმათ იმახსოვრებენ, ვისაც თვალის ახელის შემდეგ პირველებს ხედავენ, ანუ საკუთარ მშობლებს. შვილები მშობლებს ყველგან უკან დაჰყვებიან, სწავლობენ მათგან და მათი მეთვალყურეობისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. წამოზრდილ შვილებს მშობლები აღარ მეურვეობენ და ისინიც ივიწყებენ დედ-მამას.

## რატომ არის მზე ჩასვლისას წითელი?

სინამდვილეში მზის სინათლე არც თეთრია და არც ყვითელი, ის იისფერი, ლურჯი, ცისფერი და მწვანე (ე.წ. „მოკლეტალღოვანი") აგრეთვე წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი („გრძელტალღოვანი") სხივებისგან შედგება. ერთად აღებული ყველა ეს ფერი კი თეთრ ფერს შეადგენს. მოკლეტალღოვანი სხივები ნაკლებად მედეგია: ატმოსფეროს გავლით დედამიწისკენ რომ მიიწევენ, ისინი გრძელტალღოვან სხივებზე სწრაფად იფანტებიან. დღისით, როდესაც მზე ზენიტშია, ყველა ფერადი სხივი დედამიწას აღწევს და ჩვენ მზის თეთრ დისკოს ვხედავთ. მაგრამ რაც უფრო ახლოსაა მნათობი ჰორიზონტთან, მით უფრო მეტ მანძილს გადის მზის სინათლე, ამასთან გზადაგზა ის იისფერ, ლურჯ, ცისფერ სხივებს კარგავს. ამიტომაც ჩასასვლელად რომ იხრება, მზე უფრო და უფრო მეტად ყვითელი ჩანს. ატმოსფეროში წინააღმდეგობებს რომ ხვდება (მტვრის ან ნესტის ნაწილაკებს), სხივები კიდევ უფრო სწრაფად იფანტება და მხოლოდ ნარინჯისფერები და წითლები რჩება. სწორედ მაშინ არის რომ მზის წითლად ჩასვენებას ვხედავთ.

## ვინ მოიგონა ჩიფსები?

ეს 1853 წელს მოხდა ერთ-ერთი ამერიკულ რესტორანში. რესტორნის სტუმარს ნახევრადშემწვარი კარტოფილი მოუტანეს, აღშფოთებულმა სხვა ულუფა მოითხოვა და მაშინ მზარეულმა ჯორჯ კარამმა კლიენტის საამებლად კარტოფილი თხლად დაჭრა, კარგად დაბრაწა და მარილიც მოაყარა. ხრამუნა კარტოფილი თვითონ მზარეულსაც ძალიან მოეწონა და რესტორნის სტუმრებსაც. ასე გაჩნდა ახალი ნუგბარი — chips, რაც „პატარა ნაჭრებს, ბურბუშელას" ნიშნავს.

## ვაცხადებთ ნორჩი დიზაინერ-მოდელიერების კონკურსს

ტანკენარი მემოდელე ქალიშვილები და მოხდენილი ვაჟები ლაღი ნაბიჯით გამოდიან პოდიუმზე, ისმის მუსიკა, იწყება დეფილე და მაყურებელი სულგანაბული ადევნებს თვალს ზღაპრულ წარმოდგენას. დღესასწაულის დასასრულს კი ყველა მოდელი ერთად გამოდის და თან გამოჰყავს ოდნავ დარცხვენილი ადამიანი, რომელიც მორიდებული ღიმილით უკრავს თავს აღტაცებულ პუბლიკას. სწორედ ამ ადამიანის მოგონილი და შექმნილია მთელი ეს სილამაზე — კაბები, კოსტიუმები, ქუდები, ფეხსაცმელები, აქსესუარები. დიახ, სწორედ ის არის მოდის ხელოვნების მთავარი მოქმედი პირი და შემოქმედი, ის კარნახობს საზოგადოებას ჩაცმა-დახურვის სტილს, ტანსაცმლის თუ ფეხსაცმლის ფერებს, მასალას, ამკვიდრებს ამ ხელოვნების მიმართულებებს. და ეს ადამიანია დიზაინერ-მოდელიერი. სწორედ მოდელიერობაზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს ვიწვევთ ჩვენს კონკურსში მონაწილეობისათვის.



გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევრები, წარმოსახვის კარნახით შექმნილი კაბების, შარვლების, პიჯაკების, ქუდების, პალტოების, ქურთუკების, მაისურების, ფეხსაცმლის, აქსესუარების (ჩანთების, ქამრების, მძივების, სამაჯურების და სხვა) ესკიზები. კომპეტენტური ჟიური სამოდელო საქმის სპეციალისტების, მხატვარ-დიზაინერების შემადგენლობით პირუთვნელად შეაფასებს მათ და აზრთა შეჯერებით დაადგენს კონკურსში გამარჯვებულებს. კონკურსის შედეგები გაზაფხულზე, აპრილის თვეში დაჯამდება, საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს ელით ჯილდოები და პრიზები, ავტორს დაუბრუნდება ყველა მისი ნამუშევარი. გამარჯვებული მოდელები დაიბეჭდება ჟურნალ „ნაკადულში", მათ შემქმნელებს ჩვენი ჟურნალის ათასობით მკითხველი გაიცნობს, ისე რომ, თამამად! ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს კონკურსი აღმოჩნდეს თქვენი პირველი ნაბიჯი დიდი წარმატებისკენ.

ველით თქვენს ესკიზებს. ნამუშევრების გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი გვარი და სახელი, სკოლა, კლასი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

**„ნაკადულის" რედაქციის მისამართი და ტელეფონის ნომრები მოცემულია ჟურნალის პირველ გვერდზე.**

# რატომ ვამბობთ ასე?

**მე საყელო ამიბერტყია** – უვალო ვარ, არაფერი დამიშავებია. ძველად ვინმე რამეს რომ მოიპარავდა, უბეში ინახავდა, ხოლო თუ დაიჭერდნენ, პერანგის საყელოს ამოაბერტყინებდნენ, რათა ნაპარავიც ამოჰყოლოდა. თუ უდანაშაულო იყო, თავის სიმართლის დასამტკიცებლად საყელოს ამოიბერტყავდა და თან დაატანდა: მე საყელო ამიბერტყიაო...

**მეცამეტე გოჭი** – მეტიჩარა, არამკითხე მოამბე. ღორს ლუწი ძუძუები აქვს, არანაკლებ რვისა ან ათისა, კარგსა და ჯიშიან ღორს კი თორმეტიც აქვს ხოლმე. დედა ღორს იმდენი გოჭის გამოზრდა შეუძლია, რამდენიც ძუძუ აქვს. აქედან გამომდინარე, გოჭების რაოდენობა ძუძუებზე მეტი არ უნდა იყოს, ზედმეტ გოჭს მშიერად დარჩენა ემუქრება. ხატოვანი გამოთქმა „მეცამეტე გოჭი“ დაცინვით იხმარება იმ ადამიანის მიმართ, ვინც მეტიჩრობს, სხვის საქმეში ეჩრება.

**ალილოზე სიარული** – კარდაკარ სიარული, შინ გაუჩერებლობა. ქრისტეშობის წინა საღამოს სოფლის ბიჭები კარდაკარ დადიოდნენ და გალობით ულოცავდნენ თანასოფლელებს ქრისტეს დაბადების ამბავს. აქედანაა წარმომდგარი თქმა ალილოზე დადისო ისეთ კაცზე, რომელსაც ერთ ადგილზე არ ეჯდომება და კარდაკარ დადის მეზობლებში, ხან ვისთან და ხან ვისთან.

**მსხვილად ფქვავ!** – მიჰქარავ, გონივრულად არ ლაპარაკობ.

**სიფთა შენი** – ბარაქა ღვთისაო – კარგი ხელი გაქვს, გულუხვი ხარ, სიტყვა „სიფთა“ ალებ-მიცემობაში იხმარება, როცა ვაჭარი დილით საქონელს გაჰყიდის და პირველი მუშტარი პირველად მისცემს საქონლის ფასს, ამას სიფთა ჰქვია. თვით სიტყვა არაბულია და პირველს, დაწყებას ნიშნავს.

**ცეტკვირიკე** – ცეტი, ჭკუანაკლული, მოსულელო. კახეთის ერთ-ერთი მეფე, რომელსაც კვირიკე რქმევია, მეტად ცეტი ვინმე ყოფილა. ეს თქმა იქიდან მოდის და დღეს მოსულელოს ცეტკვირიკესაც უწოდებენ.

## სიტყვის კონა



**დორი** – ზურგის მისაყუდებელი ან საჯდომი ბალიში.

**დოღრიალა** – ვინც საიდუმლოს შენახვა არ იცის, ვინც ვერაფერს დაფარავს.

**ჩიტირეკია** – ცერცეტი, ქარაფშუტა, ცეტი.

**ჩული** – ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი.

**ჩქერი** – მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას.

**ციგლიგი** – სწრაფი და მოხდენილი მოძრაობა.

**ცუდმედიდი** – ამპარტავანი.

**ჟოჟი** – ძირს (მიწაზე, იატაკზე) დამდგარი წყალი.

**ჟორომი** – მდინარის ფსკერზე ამაღლებული ქვის მასივი, რომელიც ქმნის სწრაფ დინებას.

**ხაო** – დაბალი და ხშირი ბუსუსები.

## შემოდგომის ხალიჩა

ზაფხულის მიწურულს ბუნებას ფერი ნელ-ნელა ეცვლება, ირგვლივ ყველაფერი ოქროსფერი სამოსით იმოსება, მწვანე ფოთლებს ნელ-ნელა ოქროსფერი ერევა, ქალაქის პარკებში ბუნებამ შემოდგომის ხალიჩები გაფინა. ამ დროს ვენახები ქარვისფერი სავსე მტევნებით არის გადაჭედილი, ხალხი მოსავალს კრეფს. ამ დროს დამწიფებულია ხილი: კომში, ვაშლი, კარალოკი და კიდევ ბევრი სხვა ხილი. ხალხი მოსავალს სიმღერ-სიმღერით კრეფს, რთველში კი უამრავი ხალხი დასტრიალებს ყურძენს, თითო მტევანზე უამრავი პატარა ბროლის ბურთულა ჰკიდია...

აი, უკვე მოვიდა გვიანი შემოდგომაც, დადგა ზამთრისპირი, ხეებს ვერცხლისფერი და წითელი ფოთლები სცვივა, სითბოს ნელ-ნელა სიცივე ეპარება. მწვანე ფერი მხოლოდ ნაძვებს და კვიპარისებსღა შემორჩათ.

აი, მოვიდა ცივი ზამთარიც

**ანი აფციაური,**
ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა,
VI კლასი

## რაზე ვოცნებობ

ღამით, როდესაც ჩემს საყვარელ ბალიშზე დავდებ თავს, ვიწყებ ოცნებას. აბა, როგორ არ ვიოცნებო, როცა კაშკაშა მთვარის შუქი ანათებს ღამის წყვდიადს.

იდუმალ სიჩუმეში ჩანთქმული ხან ფერიას კაბაში წარმოვიდგენ ჩემს თავს, ხან მძინარე მზეთუნახავად, ხან ჯუჯების მეგობარი ვარ.

მაქვს ყოვლისშემძლე ლამაზი ჯოხი, დავკარი ერთ წიგნს და გაკვეთილი ნასწავლია, დავკარი მეორეს და იგივე განმეორდა.

არა, არ მომეწონა ეს ოცნება! მერე რაღა ვაკეთო?

მირჩევნია, ქართული სულით შთაბერილი ლექსები თვითონ ვისწავლო და მათემატიკის სახალისო გაკვეთილებიც უინტერესო არ გავხადო.

**მარიამ ღვალაძე,**
ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა,
IV კლასი

**სოფო მოსიაშვილი** კასპის საერო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლეა. მას განსაკუთრებით უყვარს ქართული ენა და ლიტერატურა. გარდა ამისა, სოფო იმდენად კარგად მღერის, რომ რესპუბლიკური ფესტივალის „ზაკო“ ლაურეატი გახდა. უყვარს ხატვა, სიამოვნებით ეუფლება ინგლისურ და რუსულ ენებს.



## შემოდგომიდან გაზაფხულამდე

შემოდგომაზე სულ მარტოდ ვრჩებით,
ყველა იბრუნებს საკუთარ ადგილს,
ბუნება ტირის სიმარტოვისგან, —
არ წახვიდეთო და ჩვენთან დარჩით.
ხეებს ფოთლები ნაზად როს სცვივა,
მერცხლებიც ქვეყნებს თბილებს უბრუნდებიან,
ბუნების კარი მათთვის ღიაა,
ჩვენ კი არ გვინდა რომ მიგვატოვონ,
მაგრამ როს მოვა ეს გაზაფხული,
და განათდება მთელი ბუნება,
დაბრუნდებიან მერცხლებიც ჩვენთან
და ყოველივე აღორძინდება.

## იყავ კეთილი

შენ შეიძლება იყო ლამაზი,
თუმცა ჩემს ნდობას ნუ ელოდები,
მე ვერ გენდობი, რადგან არ ვიცი,
გულით ხარ კარგი თუ სილამაზით.
მე თვალით ვხედავ, რომ ლამაზი ხარ,
მაგრამ არ ვიცი სულში რა ხდება,
მინდა ვიცოდე, რომ სულგრძელი ხარ
მინდა მჯეროდეს, რომ მამაცი ხარ.
ბოროტი თვალით არვის შეხედო,
არც ვინმე გცნობდეს როგორც შურიანს,
იყავი ძალზედ, ძალზედ კეთილი
ყველა გიცნობდეს, როგორც გულიანს.

# ბავშვის სიყვარული გულიდან უნდა მოდიოდეს



წარმოგიდგენთ რუსთავის №5 სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლეილა გეგეშიძეს

დაამთავრა რუსთავის №2 სკოლა. თსუ-ს ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტი, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1969-78 წლებში მუშაობდა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომში არასრულწლოვანთა საქმეების პასუხისმგებელ მდივნად, იყო XII მოწვევის რუსთავის ახალგაზრდა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შვიდი წელი იმუშავა რუსთავის №2 სკოლაში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში, იყო რუსთავის განათლების განყოფილების მეთოდისტი. 1988-89 სასწავლო წლიდან რუსთავის №5 სკოლის დირექტორია. არის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსთავის ი. გოგებაშვილის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, ღირსების მედალოსანი, ჩვენი დროების კოლორიტელის საპატიო ორდენის მფლობელი.

ქალბატონი ლეილა გეგეშიძე გახსნის დღიდან უდგას სათავეში რუსთავის №5 სკოლას. სკოლა პირველსავე დღეებიდან რეკორდული მაჩვენებლით 1254-ის ნაცვლად 2400 მოსწავლით დაკომპლექტდა. ახლომდებარე სკოლებიდან გადმონაწილებული ბავშვების დიდი ნაწილი არასახარბიელო ყოფაქცევისა აღმოჩნდა, ამდენად შეიძლებოდა სკოლა რთული სამართავი გამხდარიყო, მაგრამ ქალბატონ ლეილას ძნელადაღსაზრდელებთან მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება ჰქონდა და სიძნელეების გადალახვა არ გასჭირვებია. ოდნავ მოგვიანებით მისი მუშაობის მეთოდიკა, შედეგებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტროში მოიწონეს და განაზოგადეს კიდეც. თანდათანობით ყველაფერი დალაგდა. ახალმა სკოლამ ახალ ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი, ეროვნული გმირებისა და ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა ამ სკოლის სავიზიტო ბარათი გახდა. ხშირად ეწყობოდა და დღესაც ეწყობა შეხვედრები ეროვნული სულისკვეთებით შემართულ პიროვნებებთან და ყოველი მათგანის სტუმრობა დაფიქსირებულია ჩანაწერებითა და ფოტომასალით, ფოიეს ეროვნულ გმირთა სურათი ამშვენებს. სკოლაში ინახება ალბომი „ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორია საქართველოში“ 1801 წლიდან 1990 წლის ჩათვლით. ასევე ინახება ალბომი გამოჩენილ ადამიანებზე, „დედა ენისა“ და ი. გოგებაშვილის შესახებ, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ეპოქის პედაგოგთა გამონათქვამები. საინტერესო მასალას ინახავს შემოქმედებით მოსწავლეთა გაერთიანება „ფესვების“ ალბომი, სკოლის მატიანედან კი მრავალი ლამაზი შეჩერებული წამი იმზირება. სკოლის უკვე აქვს საამაყო ისტორია.

—როგორ ცხოვრობს სკოლა დღეს? — ამ კითხვით მივმართეთ სკოლის დირექტორს ქალბატონ ლეილა გეგეშიძეს.

—სკოლაში დღეს 1000-ზე მეტი მოსწავლეა და ჩვენთან სწავლისთვის ყველა პირობაა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ შენობას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, ბიპის მეშვეობით სახურავი გადავხურეთ, ი. გოგებაშვილის სახელმწიფო პროგრამით კარ-ფანჯარაც შევცვალეთ. ასევე განხორციელდა პროგრამა „ირმის ნახტომი“, რომლის ჩარჩოებში კომპიუტერული კლასი 15 კომპიუტერით აღიჭურვა. გათბობის სისტემაც დამონტაჟებულია და მალე საქვაბეც დაიდგმება. ისე რომ, ცივი ზამთარი არ გვაშინებს. ბავშვებს თბილ გარემოს და სიყვარულით სავსე ატმოსფეროს ვთავაზობთ.

ვამაყობ, რომ ამ სკოლის დირექტორი ვარ. ჩვენი პედკოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული და მისი ყოველი წევრი მოწოდების სიმაღლეზეა. პრაქტიკაში დავნერგეთ სიახლე — პირველკლასელი მშობლებთან ერთად ირჩევს პედაგოგს და აი აქ მთავრდება არაპროფესიონალიზმი. ჩვენი კურსდამთავრებუ-



ლების შვილების სახით ჩვენთან უკვე მეორე თაობა მოდის და ყველამ კარგად იცის ჩვენი პედაგოგების ავ-კარგი. სასწავლო პროცესს არაჩვეულებრივი პედაგოგი როზა გულისაშვილი კურირებს, დაწყებით კლასებს — დამსახურებული პედაგოგი ლამზირა სულაქველიძე, დაწყებითების კათედრის გამგეა მელანო მჭედლიშვილი, რომლის სწავლების მეთოდებიც განვაზოგადეთ. გვყავს წლის საუკეთესო პედაგოგები: მანანა გეთიაშვილი, ლია ცხოვრებაძე, ბელა ბურდილაძე, მანანა წერეთელი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მარიკა შარიქაძე, ეკოკლუბის ხელმძღვანელი მანანა ვარდოსანიძე, ინტელექტკლუბის — გელა ჭიკაძე, დებატკლუბის — ქეთინო მჭედლიძე და სხვები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში აღარ გვყავს ძნელადაღსაზრდელი, წარჩინებულთა სიმრავლით კი თავის მოწონებაც შეგვიძლია. ყოველ წელს გვყავდა ქალაქის მერის სტიპენდიატი, ასეთები იყვნენ: იზა გოცაძე, მოჭადრაკე მაია ბაწაშვილი, კოპალე ჯაბანაშვილი, ნინო ჩინჩალაძე, გიორგი ლობჟანიძე, ზებედა რეხვიაშვილი. პუშკინის დღეებთან დაკავშირებით მოსკოვში მიიწვიეს ჩვენი მოსწავლე მხატვარი ირაკლი მერაბიშვილი, რაც რუსული ენის კათედრის დამსახურებაა. გვყავს სოროსის ფონდის გამარჯვებულები, III ხარისხის დიპლომების მფლობელები, სასწავლო კონფერენციებში გამარჯვებულები. მედალიც დავიმსახურეთ, ორგზის გრანპრის მფლობელები ვართ. ვიქტორინა-კონკურსში „ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორია“ დიპლომთან ერთად პრიზიც მოვიპოვეთ, „ნორჩი მემატიანე“.

**—როგორ აისახება თქვენს სკოლაზე მიმდინარე რეფორმა, პედაგოგთა ტრენინგები?**

—მთლიანად რეფორმა და კერძოდ, პედაგოგთა ტრენინგები სწორედ რომ საჭირო და დროულია. სწავლების მსვლელობისას მთავარი პედაგოგი იყო, ახლა მთავარი მოსწავლეთა აქტივობაა. შეიცვალა მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმიც. მოსწავლეებს მოეთხოვებათ კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი მსჯელობა, უნარ-ჩვევების ცხოვრებაში გამოყენება, თავისუფალი აზროვნება... დამკვიდრდა ინტეგრირებული გაკვეთილები — ეს ყველაფერი რომ განვავითაროთ, პედაგოგებს ახლებური ხედვა სჭირდებათ. ამიტომ არის სავალდებულო ტრენინგების გავლა.



**—როგორ შეაფასებდით სამეურვეო საბჭოს მუშაობას?**

—სამეურვეო საბჭო დღიდან არჩევისა აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში. ახლახან გამართულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების შესახებ. საბჭომ შეიმუშავა სკოლის შინაგანაწესი, კათედრების სამუშაო გეგმა, განიხილა ფინანსების საკითხი, ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯვითი ნაწილი. სარემონტო სამუშაოები სამეურვეო საბჭოს წევრებთან შეთანხმებით მიმდინარეობს და ისინი პასუხისმგებლობასაც ინაწილებენ. სამეურვეო საბჭო საქმიანი ადამიანებით არის დაკომპლექტებული. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მშობელი — 4 შვილის მამა რომული გოგაძე.

**—და ბოლოს, სკოლის დირექტორის არჩევითობაზე რა აზრისა ხართ?**

—კარგი დირექტორი რომ იყო, უნდა გიყვარდეს ბავშვი და ცოტა დამთმობიც უნდა იყო მასთან. ბავშვის სიყვარული გულიდან უნდა მოდიოდეს. უნდა იყო მოწოდებით პედაგოგი და კარგად ერკვეოდე მოსწავლის ფსიქოლოგიაში. რაც შეეხება გამოცდა-ტესტირებას და არჩევითობას, მივესალმები ოღონდ უკეთესი იქნებოდა, დირექტორის ბედი სკოლაშივე წყდებოდეს, რადგან ადგილზე უკეთ იციან რამდენად მისაღებია მათი ხელმძღვანელი, მაგრამ იქ, სადაც ჩავარდნები და პრობლემების სიმრავლეა, ახალი სისხლი ნამდვილად საჭიროა.

**მანანა ჯანგირაშვილი**

# რას და როგორ სწავლობენ შენი თანატოლები



### ახალ ზელანდიაში

ახალი ზელანდიის სკოლებსა და უნივერსიტეტებში სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა არსებობს სპეციალური პროგრამები მაორებისთვის, კუნძულების მკვიდრი მოსახლეობისთვის. ხოლო უნივერსიტეტებში ისეთი ფაკულტეტებიც კი არის, სადაც აბორიგენთა ენაზე ასწავლიან.

ახალზელანდიელი ბავშვები ხუთი წლის ასაკში იწყებენ სკოლაში სიარულს. ისინი რვა წელს დაწყებით სკოლაში სწავლობენ, მერე კი, 13 წლის ასაკში საშუალოში გადადიან. საშუალო სკოლაში მოსწავლეებს კიდევ ხუთ წელს ამზადებენ უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებში შესასვლელად. სკოლის არჩევანი დიდია: ქვეყანაში 400-მდე საშუალო სკოლაა, რომელთა უმრავლესობა სახელმწიფოა. ზოგიერთ სკოლას თავისი პანსიონიც აქვს. სასწავლო წელი თებერვალში იწყება და დეკემბრის შუა რიცხვებში მთავრდება. მოგეხსენებათ, ახალი ზელანდია სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს და ამიტომაც საზაფხულო არდადეგები აქ დეკემბერში იწყება და თებერვლამდე გრძელდება. ახალზელანდიურ სკოლებში მოკლე, 17-18 დღიანი არდადეგებიც არის – აპრილში, ივლისსა და სექტემბერში. საშუალო სკოლების IX-X კლასებში მოსწავლეები საბაზო საგნებს სწავლობენ: ინგლისურ ენას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ბუნებისმეტყველებას, მათემატიკას, მუსიკას, ხელოვნებას, ხელობებს და გარდა ამისა, ფიზიკურ მომზადებასაც გადიან. XI კლასში კი სპეციალიზებული სწავლება იწყება, თუმცა მათემატიკა, ინგლისური და საბუნებისმეტყველო საგნები კვლავაც საკვანძო საგნებად რჩება.

XI კლასის ბოლოს მოსწავლეთა უმეტესობა სკოლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატის მისაღებად პირველ ოფიციალურ გამოცდებს აბარებს. შეიძლება სხვადასხვა სკოლებში სხვადასხვა საგამოცდო საგნები იყოს შერჩეული. ერთადერთი ყველასთვის სავალდებულო საგანია ინგლისური ენა, რაც შეეხება დანარჩენებს, მოსწავლეს შეუძლია სკოლის მიერ შემოთავაზებული საგნებიდან თვითონ აირჩიოს მისთვის სასურველი. ასეთი საგანი შე-



იძლება იყოს, ვთქვათ, საბუღალტრო აღრიცხვა, აგროტექნიკა, უცხო ენები, მუსიკა – სულ 30-მდე დისციპლინა. XII კლასში მოსწავლეები გაღრმავებულად სწავლობენ 4-6 საგანს. როგორც წესი, ასეთთა რიცხვში შედის ინგლისური, მათემატიკა, ხელოვნების, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცალკეული საგნები და ეკონომიკა. ამ კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები იღებენ ატესტატს, რომელშიც ნიშნები ადრე არჩეულ ექვს საგანში მიღებულ შეფასებებს ემყარება.

XIII კლასის ბოლოს ბარდება გამოსაშვები გამოცდები, რომლებიც იმავდროულად უნივერსიტეტში შესასვლელ გამოცდებსაც წარმოადგენს. ამ გამოცდებზე მოწმდება ცოდნა 4-6 საგანში. ყოველ საგანში 100-მდე ქულის მიღება შეიძლება.

### ესპანეთში

ექვს წლამდე პატარა ესპანელები საბავშვო ბაღებში (ჩენტროს დე ედუკაციონ ინფანტილ) სწავლობენ საკუთარი აზრების გამართულად გადმოცემას. მხოლოდ ამის მერე დგება სკოლის რიგი, რომელიც იყოფა დაწყებითად (ჩენტროს დე ედუკაციონ პრიმარია) და საშუალოდ ჩენტროს დე ედუკაციონ სეცუნდარია. 6-დან 14 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი ვალდებულია სკოლაში იაროს. საწყის ორწლიან კურსს ე.წ. „საშუალო" ციკლი მოსდევს, რომელიც სამ წელს გრძელდება, მერე კი სამწლიანი „გამოსაშვები" ციკლია. 16-17 წლის ესპანელთა 80 პროცენტი სკოლაში სწავლას აგრძელებს.

მშობლებს შეუძლიათ სახელმწიფო სკოლაშიც მიაბარონ ბავშვი, კერძოშიც და „დამოუკიდებელშიც". მოსწავლეთა 70 პროცენტი სახელმწიფო სკოლებში სწავლობს. ეს სკოლები სახელმწიფოს ადგილობრივი საკრებულოების ან საბჭოების ფულით არსებობს. ესპანეთში ეკლესიის პოზიციები ძალზე ძლიერია და ამიტომაც ესპანელი ბავშვების დაახლოებით 30 პროცენტი განათლებას რომაულ-კათოლიკურ სკოლაში ღებულობს.

სავალდებულო სასკოლო პროგრამაში შემდეგი საგნები შედის: საბუნებისმეტყველო საგნები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ისტორია და გეოგრაფია, უცხო ენები, ესპანური და რეგიონის ენა (ბასკური, კატალონური ან გალისიური), მათემატიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფიზკულტურა და მუსიკა. უცხო ენის სწავლება მოსამზადებელი სკოლის მესამე კლასში (ანუ 8 წლის ასაკში) იწყება, საშუალო სკოლაში კი (12 წლის ასაკში) ბავშვებს კიდევ ერთი დამატებითი უცხო ენის შესწავლას

სთავაზობენ. სწავლების კურსის დანარჩენი ნაწილის შინაარსს სკოლის საბჭო ადგენს.

ყოველი სემესტრის ბოლოს მოსწავლეები სავალდებულო წერით ატესტაციას გადიან. მათ, ვინც ატესტაციაზე ჩაიჭრება, უფლება აქვს ხელახლა ჩააბაროს იგი. თუ ივნისში ვერ შეძლო, სექტემბერში ჩააბარებ. თუ წლის ბოლოს მოსწავლე ორზე მეტ საგანში „ჩაფლავდება“, მას იმავე კლასში ტოვებენ. ამიტომაც ესპანურ სკოლებში საკმაოდ ბევრი მეორეწლიანია, რომლებსაც აქ რეპეტიდორეს-ს უწოდებენ.



რვაწლედის დამთავრებისას მოსწავლეები იღებენ Graduado Escolar-ის წოდებას, რომელიც უფლებას აძლევს მათ ბაკალავრიატში გააგრძელონ სწავლა ან სულაც პროფესიული განათლება აირჩიონ. ამ წოდების მფლობელი მოზარდები სამი წლის განმავლობაში გადიან ბაკალავრიატის Bachillerato Unificado y Polivalente-ს კურსს. სწავლობენ გეოგრაფიას, ესპანურ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენებს, მათემატიკას, ხელოვნებას, ლათინურს, რელიგიას (ეთიკას) და ფილოსოფიას. დამატებით საგნად მათ რეგიონის ენას (მაგალითად, კატალონურს) ასწავლიან. ყოველ წელს ისინი აბარებენ ნაშრომებს, რომელთა საფუძველზე ტარდება ატესტაცია. სწავლების მესამე წელს ბაკალავრიატის პროგრამაში იწყება სპეციალიზაცია შემდეგი მიმართულებებით: მედიცინა და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ზუსტი მეცნიერებები და ტექნიკა. ყველა სპეციალობისთვის სავალდებულო საგნად ითვლება ესპანური ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია, ფილოსოფია და ფიზკულტურა.

ყველაზე მეტი წარმატებით ესპანელ ახალგაზრდებში ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებები სარგებლობს. მეორე ადგილზეა მედიცინა. ამ კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტები იღებენ ბაკალავრის წოდებას, რომელიც უფლებას აძლევს ჩაეწერონ საუნივერსიტეტო ორიენტაციის ერთწლიან კურსზე. ამ კურსის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია ჩააბაროს უნივერსიტეტის მისაღები გამოცდები.

## ნიდერლანდებში

განათლების ნიდერლანდურ მოდელს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ 1917 წელს მიღებული ეგრეთ წოდებული სკოლის სამყაროს პირობებით, არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, დაფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფო სკოლებს უტოლდება.

მისი წყალობით ნიდერლანდებში სკოლათა ისეთი მრავალფეროვნებაა, როგორიც ევროპის არცერთ ქვეყანაში არ არის. გარდა იმისა, რომ აქ ძალზე ფართო დიაპაზონის რელიგიური მიმართულების სასწავლო დაწესებულებებია — უმეტესად კათოლიკური და პროტესტანტული, აგრეთვე იუდეური, ისლამური და ინდუისტური, ნიდერლანდებში ძალზე მრავლად არის რეფორმატორი პედაგოგების მიერ დაფუძნებული სკოლები. ჰოლანდიაში მოსწავლეთა დაახლოებით 75 პროცენტი „თავისუფალი ორიენტაციის“ კერძო სასწავლო დაწესებულებებში დადის.

მაგრამ მრავალფეროვნება არამც და არამც არ ნიშნავს სრულ უკონტროლობას, თავისუფალ საწყისებზე შექმნილი სკოლებიც ისევე ფინანსდება როგორც სახელმწიფო სასწავლებლები, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იცავენ უკლებლივ ყველა სკოლიდან კანონით წაყენებულ მოთხოვნებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა აუცილებელი საბაზო განათლებაა.

სხვადასხვა ტიპის სკოლათა მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგების შეპირისპირებამ უნდა უზრუნველყოს გამოსაშვები გამოცდები, რომლებიც ასეთი პრინციპით ტარდება: ასათვისებელი სასწავლო მასალა სანახევროდ ცენტრალიზებულად, სასკოლო განათლების ორგანოების მიერ მტკიცდება, სანახევროდ კი მოცემული სკოლის მიერ განისაზღვრება მისი პროგრამის შესაბამისად.

სასკოლო მუშაობის გეგმას მშობლებთან შეთანხმებით სკოლის გამგეობა ადგენს და ეს გეგმა განიხილება როგორც სწავლების აუცილებელი საფუძველი. განათლების ორგანოები მხოლოდ ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება იგი კანონის მოთხოვნებს.

ნიდერლანდების ლიბერალური განათლების სისტემის პრინციპების შესაბამისად სასკოლო კავშირებს აქვთ მასწავლებელთა მოსამზადებელი დაწესებულებები, რომელთა სახელმწიფო დიპლომები ასეთივე სახელმწიფო დაწესებულებათა დიპლომების ტოლია. ხოლო როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსი აქვთ და ანაზღაურებაც ერთი და იგივე კრიტერიუმებით ეძლევათ სახელმწიფოსგან. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებლებს საკუთარი პედაგოგიური მრწამსის შესაბამისად აირჩიონ სკოლა და ამასთან ხელფასი არ შეუმცირდეთ.

ყოველი ნიდერლანდური სკოლა დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია, რომელსაც უფლება და მოვალეობა აქვს იმოქმედოს სწავლების საკუთარი პროგრამის შესაბამისად. ეს კი მშობლებსა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მრავალი სხვადასხვა წინადადებიდან ნებისმიერი ვარიანტი აირჩიონ. ამასთან განათლების ბაზარზე სოციალური წონასწორობა არ ირღვევა. ასე, მაგალითად, სკოლებს ნება ეძლევათ განსაკუთრებული მომსახურებისთვის დამატებითი გადასახადი შემოიღონ, მაგრამ



ამასთან ვერც ერთი მოსწავლე ვერ იქნება გარიცხული იმის გამო, რომ მის მშობლებს საჭირო თანხის შეტანა არ შეუძლიათ.

ორი ტიპის სკოლების სამართლებრივი და ფინანსური თანასწორობა სწავლების თავისუფლებას და თანაბარ შანსებს ნიშნავს. ამ მხრივ თავისუფლად შეიძლება ნიდერლანდური მოდელი ნიმუში გახდეს ყველა იმ ქვეყნისთვის, სადაც ჯერ კიდევ სწამთ, რომ განათლების სახელმწიფო ხასიათი სოციალური სამართლიანობის გარანტია.

# „მაგარი" გამოგონებები

## კრივი ტელეფონით



ჰოლანდიელმა დიზაინერებმა სპორტსმენებისთვის განკუთვნილი ტელეფონი გამოიგონეს. მოკრივის ხელთათმანიანი აბონენტი მანოკაუტირებელ დარტყმებს უშენს კედელზე ჩამოკიდულ ციფრებს და ისე კრეფს ნომერს. ამის შემდეგ კი გარბის იატაკზე დახატული წრისკენ, რადგან ლაპარაკი მხოლოდ ამ წრეში შეიძლება, ამასთან თუ ხმამაღლა არ ილაპარაკებს, თანამოსაუბრე მის ხმას ვერ გაიგონებს. იმისათვის კი, რომ თავად გაიგონოს, აბონენტმა მეორე წრეში უნდა გადაინაცვლოს, რომელიც პირველიდან 2 მეტრით არის დაშორებული. ამ წუთიან საუბარში, უფრო სწორად გადარბენა-გადმორბენასა და ყვირილში ადამიანს შეუძლია ნახევარი კილო დაიკლოს.

## მუსიკა კბილებზე

აშშ-ს მაღაზიების დახლებზე გამოჩნდა კბილის ჯაგრისები იმათთვის, ვისაც კბილების გახეხვა არ უყვარს, სამაგიეროდ უყვარს მუსიკა. ჯაგრისის ტარში ჩამაგრებულია მიკროსაკრავი. ჩანაწერის მოსასმენად საკმარისია ჯაგრისი კბილებზე მიიდოთ და ზევით — ქვევით ამოძრაოთ. ბგერითი ვიბრაციები გადაეცემა კბილებს, მერე კი თავის ქალის ძვლების გავლით — შიდა ყურს. სიმღერა 2 წუთს ანუ ზუსტად იმდენ ხანს ჟღერს, რამდენიც კბილების კარგად გასახეხად არის საჭირო.

## წყალბადზე მომუშავე მანქანა



ვიდრე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტრუქტორები იმაზე იმტვრევენ თავს, თუ როგორ შეცვალონ ბენზინი წყალბადით, ჩინეთში უკვე იყიდება სათამაშო ავტომანქანა, რომელიც წყალბადის სათბობის ელემენტებზე მუშაობს. ციცქნა ავტომობილი, რომელიც ხელისგულზე ეტევა, აღჭურვილია სადგურით, რომელიც მზის ენერგიის გამოყენებით წყალბადს წყლიდან მოიპოვებს. საწვავის ავზში ძალზე ცოტა წყალბადია, ამიტომაც ეს ფეთქებადსაშიში აირი ამ ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოს პატრონისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

## სკეიტისა და ველოსიპედის ნაჯვარი



ავსტრალიაში გაყიდვაშია სკეიტისა და ველოსიპედის ნაჯვარი — ქუჩის სერფერი. ჰიბრიდს ერთი უკანა და ოთხი წინა ბორბალი აქვს. ერთის ნაცვლად ოთხი წინა საყრდენი წერტილი საშუალებას აძლევს სერფერზე მჯდომს თავი უფრო საიმედოდ იგრძნოს. გარდა ამისა, ჩვეულებრივ ველოსიპედთან შედარებით, სერფერი საჭესაც უკეთესად ემორჩილება, განსაკუთრებით მოხვევისას, ყველა ამ თვისების წყალობით, სერფერი აკრობატული ტრიუკების შესასრულებლადაც ძალიან მოხერხებულია და კიბეზე ჩამოსაგრიალებლადაც.

## გემრიელი მარკები

ავსტრიის ფოსტამ გამოუშვა მარკების სერია სახელწოდებით „დაე, თქვენმა ენამ იმოგზაუროს". მარკებზე აღბეჭდილი გამოსახულებები ადამიანს ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში და პლანეტის სხვა ნაწილებში „აგზავნიან". დასაწებებლად მარკის უკანა მხრიდან ალოკვისას, შეგიძლიათ ნაყინის გემო იგრძნოთ. ევროპას მარწყვის გემო აქვს, აფრიკას — ანანასის, ანტარქტიდას კი ყინულის.



# შენზე ფიქრით რომ ალამებს



## ულევი სითბო და სიყვარული

პედაგოგობა მერი ღონღაძემ დეიდას რჩევითა და ხათრით აირჩია სპეციალობად, მაგრამ როგორც კი პირველი გაკვეთილი ჩაატარა, მიხვდა, რომ სწორედ მასწავლებლობა იყო მისი მოწოდება და დეიდამ უბრალოდ ბიძგი მისცა ამის გასაცნობიერებლად. საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, აქ შეძენილი ცოდნა კი მერე პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმდიდრა. თავისი პირველი გაკვეთილი ახალგაზრდა პედაგოგმა სახელოვანი ტრადიციებით ცნობილ თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში ჩაატარა, აქ გადადგა პირველი ნაბიჯები პედაგოგიურ ასპარეზზე, აქ ისწავლა როგორ უნდა მოერგო პატარების გულებისთვის გასაღები. ამაში კი მას სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი გოგუცა ნიკოლაიშვილი დაეხმარა, იმ პედტექნიკუმის ყოფილი დირექტორი, რომელიც მან დაამთავრა. ქალბატონ გოგუცას კარგად ახსოვდა მერი, როგორც ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი და სიამოვნებით იდო თავს ახალბედა მასწავლებელს პედაგოგიური დებიუტისთვის დამახასიათებელი მღელვარების დაძლევაში დახმარებოდა.

იმხანად 23-ე სკოლის დირექტორი ბატონი გენადი თაბაგარი გახლდათ, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს კი ისეთი დიდებული მასწავლებლები უძღვებოდნენ, როგორებიც იყვნენ: მარიამ ბალანჩივაძე, ენიკო ჯაფარიძე, თინა კაჭარავა, აფროდიტა გეგია, ზინა ციციშვილი და სხვები. ასეთი პედაგოგებისა და პიროვნებების გვერდით, მათ მაგალითზე ყალიბდებოდა ის პრინციპები, მიდგომები, მეთოდები, რომლებითაც ზრდიდნენ და ცოდნით აიარაღებდნენ ისინი თაობებს.

იმ პირველი გაკვეთილიდან, რომელიც მერი მასწავლებელმა პირველ კლასში ჩაატარა, 49 წელი გავიდა, უამრავმა პატარამ ისწავლა მის ხელში ანბანა და ანგარიში, სიკეთე და სიყვარული. ასობით გოგო-ბიჭი დააფრთიანა და მიაცილა სწავლების მეორე საფეხურამდე. თუმცა არასოდეს დაუშურებია, ყოველთვის უხვად გასცემდა, გულის სითბო მაინც არასდროს ელეოდა და ჭარმაგ პედაგოგს, რომლის მასწავლებლობის საერთო სტაჟი 51 წელს ითვლის დღესაც სავსე აქვს გული სიყვარულით და სითბოთი და ალბათ ამიტომ არის, რომ ასაკის მიუხედავად, სავსებით მხნედ და ჯანმრთელად არის, კვლავ ახალგაზრდული შემართებით მასწავლებლობს, ცუდად კი თავს მხოლოდ არდადეგების დღეებში გრძნობს, რადგან უბავშვებოდ ყოფნა უჭირს. ორი შვილის დედა და ერთი შვილიშვილის ბებია მათაც მოსწავლეებად მიიჩნევს, მოსწავლეებს კი თავის შვილიშვილებად.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ქალბატონი მერი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობა-

(გაგრძელება 28-ე გვერდზე)



# რა გადარდებს, ია?

რა გადარდებს, ჩემო საყვარელო ლურჯთვალა ია? შენ ძალიან ლამაზი ხარ. უკვე გაზაფხულდა, დათბა, ცხრათვალა მზე გამობრწყინდა. მწვანე მინდვრებს ძლიერ უხდები, მაგრამ შენ ხომ ცოტა ხანს ცოცხლობ. მოვა ვიღაც და შეუბრალებლად დაგაბიჯებს ფეხს, ვიღაც კი მოგწყვეტს სულ უბრალოდ, მერე კი მოვა თოვლი და თეთრ, ცივ საბანს გადაგაფარებს. არავინ ფიქრობს, რომ შენც არსებობ, შენც გინდა სიცოცხლე ამქვეყანაზე. და მაინც ნუ დარდობ, ლურჯთვალა იავ, ისევ მოვა გაზაფხული, ისევ შეეგებები მზეს და ისევ დაგვატკბობ შენი სილამაზით.

**ნინო კობალაძე,** ქ. ბათუმის №2 საჯარო სკოლა, მეოთხე კლასი.



### სევდა

„დამკრძალავი ბიურო", ჩამოხეული აბრა, ქარის მიერ მოტაცებული ფარდა, ჩამსხვრეული მინა, ოთახში სიჩუმე. მონჯღრეულ სკამზე, ბნელ კუთხეში სიკვდილის უფერო აჩრდილი. მაგიდაზე გაცრეცილი დავთრის ჩუმი კვნესა. მოქუფრული, ცრიატი სახეები.

ნელ-ნელა ვშორდები გათეთრებული შენობის ბნელ ოთახს.

### ობობა

მიტოვებული სახლის ერთ ბნელ კუთხეში,

ობობა თვლემდა დიდ ბადეში.

მალე სახლი განათდა, გამხიარულდა.

ბავშვების ხმაურით აივსო.

ობობა გამოფხიზლდა, თავი გაიქნია და... შეცვლილი სახლი შეათვალიერა.

თავისი ქსელი შეკუმშა და კუთხეს გაეკრა.

...ბავშვებმა ობობას ქსელი იპოვეს.

წყალს ასხამდნენ მას და მხიარულობდნენ.

დაღამდა, ხმაური მიწყდა.

ობობამ თავის კუთხეს შეხედა.

გზას ნელა გაუყვა...

მიტოვებული სახლის ძებნაში.

**ნატალი ანთიძე,** თბილისის 172-ე საჯარო სკოლა, VIII კლასი, შემოქმედებით მოსწავლეთა სტუდიის წევრი.

---

(დასაწყისი 27-ე გვერდზე)

საც ეწეოდა, იყო ჩუღურეთის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამად კი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

**თამუნა გველესიანი.**

### წარუშლელი კვალი

სკოლის წლები წარუშლელ კვალს ტოვებს ყველა ადამიანის ცხოვრებაში, ჩვენ ვიზრდებით, ვამთავრებთ სკოლას, ჩვენ-ჩვენს ადგილსა და საქმეს ვპოულობთ ცხოვრებაში, ვმუშაობთ, ვმოღვაწეობთ, ასაკში შევდივართ, ვბერდებით კიდეც, მაგრამ მასწავლებლები და მათ მიერ ჩვენს გულსა და სულში დათესილი სიკეთე არასდროს გვავიწყდება, ის კი გვიკვირს ხოლმე, რომ თურმე, არც მასწავლებლებს ავიწყდებათ თავიანთი მოსწავლეები.

ზაჰესის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს, ნათელა ჭოლაძეს ყველა თავისი ნამოწაფარი ახსოვს, გუშინდელივით ახსოვს თავისი პირველი გაკვეთილიც და ის გრძნობაც, რომელიც მაშინ, 1978 წლის 23 სექტემბერს დაეუფლა, როდესაც პირველკლასელთა ოცდაათამდე წყვილი თვალი ცნობისმოყვარეობითა და მოლოდინით მიაჩერდა. მალევე დაიოკა მღელვარება, გულიანად გაუღიმა პატარებს და მათი საპასუხო ღიმილით მიხვდა, რომ ბავშვებმა მასში მარტო მასწავლებელი კი არა, უფროსი მეგობარიც დაინახეს. მას შემდეგ 28 წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში ნათელა მასწავლებელმა უამრავ პატარას გადააშლევინა „დედა-ენა", აგრძნობინა მშობლიური ენის სილამაზე, ჩაუნერგა მეგობრობის, თანადგომის გრძნობა, ასწავლა უფროსების პატივისცემა, გაუღვივა ცოდნის წყურვილი. სიყვარულით, მშობლიური სითბოთი ზრდიდა პატარებს, მოთმინებით უყრიდა საძირკველს თითოეული მათგანის პიროვნულ თვისებებს, ცოდნა-განათლების მიცემასთან ერთად მათ ზნეკეთილ ადამიანებად ჩამოყალიბებაზეც ნიადაგ ზრუნავდა. და ასეა ახლაც. დღეს მისი აღზრდილები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობაში.

გაორმაგებული დატვირთვითა და მონდომებით ქალბატონი ნათელა მაშინ ირჯებოდა, როდესაც მასწავლებლობასთან ერთად ნახევარგანაკვეთზე ამავე სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორადაც მუშაობდა. ამან კიდევ უფრო დააახლოვა ბავშვებთან, მათი ხასიათისა და ბუნების მისთვის მანამდე უცნობი მხარეები დაანახა. მაღალი პროფესიონალიზმის, ულევი მოთმინების, გულის სითბოს და სიკეთის წყალობით ნათელა ჭოლაძემ მოსწავლეების ნდობა და გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა, ამავე თვისებებმა მოსწავლეთა მშობლებისა და კოლეგა-პედაგოგების პატივისცემაც მოუხვეჭა. იგი ორჯერ დაასახელეს რაიონის წლის საუკეთესო მასწავლებლად, და ამ ფაქტმა ორივეჯერ ქალბატონ ნათელაზე არანაკლებად მისი მოსწავლეები გაახარა.

ნათელა ჭოლაძე კვლავაც ჩვეული სიყვარულით და ენერგიით, ერთგულად ემსახურება პატარების სწავლა-აღზრდის საქმეს და კიდევ არა ერთ თაობას დააფრთიანებს, კიდევ ბევრს წაუმძღვარებს წინ ცხოვრების გზაზე ცოდნას, სიკეთეს და სიყვარულს.

# დამშვიდობება შემოდგომასთან



ზეიმით გააცილეს შემოდგომა რუსთავის №10 საჯარო სკოლის მესამეკლასელებმა (პედ. ნინო მუმლაძე). წელიწადის ამ დროის ფერებში მორთული დარბაზი შემოდგომის სურნელით გაჟღენთილიყო, წითელ-ყვითლად ანათებდა გოგონების თავზე ფოთლების გვირგვინი, შემოდგომის დოვლათსა და ბარაქაზე მიანიშნებდა ხილით სავსე კალათები და ჩურჩხელების ამოვლების რიტუალიც. შინაარსიანი და საინტერესო სცენარის ავტორი პედაგოგი ნინო მუმლაძე გახლდათ, მუსიკალურად კი ზეიმი პედაგოგმა მაია ქართველიშვილმა გააფორმა. შემოდგომამ, რომელსაც ზაქრო ბერიაშვილი განასახიერებდა, საქართველოს ყველა კუთხეს ჩამოუარა და სასურველ სტუმარს ყველგან სიხარულით უმასპინძლა. დაიწყო კახური (გიორგი კუსიანი) და იმერული (გიორგი პაპელაშვილი) ჩურჩხელების გაბაასება. გურულებმა ნოდარ დუმბაძისეული იუმორით შეზავებული ზურიკელას სცენა გაითამაშეს. ზურიკელას გოგა გოგიჩაშვილი განასახიერებდა. ,,მთიულური", ,,ცანგალა და გოგონა", ,,კეკელა და მარო" მონაცვლეობით შეასრულეს საცეკვაო ფორმებში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა მარიამ ხაჩიძემ, ანი ნონაშვილმა, დავით კელენჯერიძემ და სხვებმა.

წკრიალებდა სოლო და გუნდური სიმღერები დათო მესხის, ვიტალი გელაშვილის, მარიამ აბდელანის, თორნიკე ჭილაიას, თინიკო ხიზანიშვილის, ილია დოლენჯაშვილის, სერგო არაქელიანის, ვაჟა შუბითიძის, სალომე ყაველაშვილის, თეონა კერვალიშვილის, ლევან დიაკონაშვილის, დავით ქართველიშვილის, არკადი ყურუას, გვანცა გოგრიაშვილის და გვანცა ორველაშვილის შესრულებით.

მარიამ ჩიტაშვილმა და გოგა თხინვალელმა მხატვრულად წაიკითხეს იოსებ გრიშაშვილის და მურმან ლებანიძის ლექსები. შემოდგომის რიტუალს – ჩურჩხელების ამოვლებას კარგად გაართვეს თავი ირინე მოდებაძემ, გიორგი წოწოლაშვილმა და თეონა კერვალიშვილმა.

ზეიმი მუხრან მაჭავარიანის დიდებული სტრიქონებით დაასრულა პედაგოგმა ნინო მუმლაძემ: ,,მაგრამ ყველას მირჩევნია ერთ დიდ მუშტად შეკრული, რა თქმა უნდა, საქართველო, ვიყოთ ,,მისი ერთგულნი".

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ირინე აბუთიძემ ზეიმის მონაწილეებს ლამაზი საღამოსთვის მადლობა გადაუხადა.

# კახური შემოდგომა რუსთავში



გვიანი შემოდგომის იმ მზიან დღეს შუაგულ კახეთის სოფელს მოგაგონებდათ რუსთავის კერძო სკოლა ,,მნათობის" ეზო. ხილითა და ყურძნის მტევნებით დახუნძლული კალათები, მოსაბადაგებელი ყურძნის წვენი და ნიგვზიანი ჩურჩხელები, ტრადიციულ ეროვნულ ტა-



ნსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები, კახური სიმღერები დ საზეიმო განწყობა სრულ იდილიას ქმნიდა. მოსწავლეებმა გააკეთეს თათარა, ამოავლეს ჩურჩხელები, იმღერეს, იცეკვეს, იმხიარულეს და საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-აუქციონიც მოაწყვეს, ზოგიერთმა მათგანმა კი ბიზნესმენის ნიჭიც გამოავლინა. კახური შემოდგომა რუსთავში დაუვიწყარ მოგონებდ დარჩებათ ღონისძიების მონაწილეთ და მათ სტუმრებს.

# კაცი, რომელმაც დედამიწა აწონა



გიამბობთ ადამიანზე, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა დედამიწის წონის დადგენა, რომელმაც ორი საუკუნის წინათ იმდენად ზუსტი სასწორი დაამზადა, რომ რამდენი არ უკირკიტეს თანამედროვე მეცნიერებმა მისი მეშვეობით მიღებულ შედეგს, მაინც ვერაფერი აღმოუჩინეს. შეცდომამ ერთნახევარ პროცენტზე ნაკლები შეადგინა.

ეს ადამიანი ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი ჰენრი კევენდიში გახლავთ.

კევენდიშთა საგვარეულო უძველესი დროიდან იყო ცნობილი ინგლისში, ამ გვარში მინისტრებიც ერივნენ, ცნობილი სარდლებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეკობრეც კი, მეცნიერი კი სერ ჰენრიმდე არავინ ყოფილა. ჰენრი კევენდიში არცერთ მათგანს არ ჰგავდა არც თავისი მსოფლმხედველობით, არც ინტერესებითა და საქმიანობით. თუმცა იგი ლორდი და თავის ქვეყანაში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო, გართობისთვის ვერ იცლიდა და საზოგადოებაშიც იშვიათად ჩნდებოდა. დროსაც, სახსრებსაც, მთელ თავის ცოდნასაც და უნარ-შესაძლებლობებსაც იგი მეცნიერებას, ცდებს ანდომებდა. ჩაფიქრებული მოწყობილობისა თუ ხელსაწყოს შესაქმნელად საუკეთესო მასალებს იძენდა და საუკეთესო მექანიკოსებს იწვევდა. საამისოდ კი იგი ნამდვილად არ იშურებდა ფულს. სამაგიეროდ იმდენი რამ აღმოაჩინა, გამოიგონა, შექმნა და დაადგინა, რომ დაჯერება ჭირს.

გეცოდინებათ, რომ წყალი წყალბადისა და ჟანგბადისაგან შედგება, ის კი ალბათ ცოტა თქვენგანმა უწყის, რომ ეს ფაქტი 1784 წელს სწორედ ჰენრი კევენდიშმა დაადგინა.

ცხადია, ისიც იცით, რომ ჰაერი ჟანგბადისა და აზოტის ნაერთია. ახლა კი ისიც დაიმახსოვრეთ, რომ პირველად კევენდიშმა განსაზღვრა რამდენი ჟანგბადი და რამდენი აზოტია ჰაერში. ხოლო ჟანგბადის წვის შედეგად წყლის ქიმიური შედგენილობაც მანვე დაადგინა, იგი გახლდათ პირველი ქიმიკოსი, რომელმაც ელექტრონული ნაპერწკლის მეშვეობით მიიღო აზოტის ჟანგეულები და მათი თვისებები გამოიკვლია. მანვე დაამუშავა აირთა შეგროვების, გაწმენდისა და შესწავლის მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც პირველმა შეძლო სუფთა წყალბადის და ნახშიროჟანგის მიღება, მათი სიმკვრივის და სხვა თვისებების დადგენა. ეს ქიმიაში. გასაოცარია, მაგრამ ჰენრი კევენდიშმა ფიზიკაშიც უდიდესი აღმოჩენები გააკეთა.



სერ ჰენრიმ წინასწარ განჭვრიტა ფრანგი მეცნიერის კულონის კანონი, პირველმა ჩამოაყალიბა თბოტევადობის ცნება და სხვა. მეცნიერი ვერც იცლიდა თავისი კვლევებისა თუ ცდების შედეგების საჯაროდ გამოსაქვეყნებლად და არც საჭიროდ მიაჩნდა ამის გაკეთება. ამიტომაც მოხდა ისე, რომ მის მიერ გაცილებით ადრე აღმოჩენილ კანონს ელექტრონული მუხტებისა და მაგნიტური პოლუსების ურთიერთქმედების შესახებ, რომელიც მერე მისგან დამოუკიდებლად შ. კულონმა ჩამოაყალიბა, ამ უკანასკნელის სახელი ეწოდა.

ინგლისელი მეცნიერის ცდათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დედამიწის აწონვაა. ჩვენი პლანეტის წონის დასადგენად კევენდიშმა აიღო მოვერცხლილი სპილენძის მეტად წმინდა მავთული, ზედ მსუბუქი სასწორის მხრეულა ჩამოჰკიდა, რომელსაც ბოლოებზე 700 გრ. მასის ორი ერთნაირი ტყვიის ბურთულა მიამაგრა. უმცირეს ქროლვაზე კი მხრეული ტრიალს იწყებდა და მავთულს გრეხდა, ამიტომაც ეწოდა ამ ხელსაწყოს გრეხითი სასწორი. ზუსტად გამოთვლილ მანძილზე მეცნიერმა ბურთულების გვერდით სხვა, უფრო მძიმე და მყარად დამაგრებული ბურთულები მოათავსა. ამ გზით მას მათ შორის მიზიდულობის ძალა უნდა დაედგინა. იმის მიღწევა, რომ ხელსაწყოზე არც ჰაერის მოძრაობას ემოქმედა და არც ტემპერატურის მერყეობას, ძალზე ძნელი იყო, მაგრამ კევენდიშმა ესეც შეძლო. თავისი სასწორი მან უფანჯრებო ოთახში მოათავსა, რომლის კარი არასდროს არ იღებოდა, მუდმივ ტემპერატურას კი უმკაცრესად იცავდნენ. თავად ხელსაწყო მეცნიერმა ჰერმეტულ კარადაში ჩაკეტა. ბურთულებზე დაკვირვება ნახვრეტებში ჩადგმული სამზერი მილებით, პატარა ტელესკოპებით შეიძლებოდა. ამის შემდეგ დაუცხრომელმა მეცნიერმა მსუბუქი მხრეულის დონეზე მეორე, მყარად დამაგრებული, დიდ ბურთებიანი (თითოეულის მასა თითქმის 150 კგ. იყო) მხრეული ჩაუშვა და მაშინღა დაინახა ტელესკოპში მხრეულის მსუბუქი ღელვა, რომელიც სხვა არაფრით აიხსნებოდა, თუ არა მსუბუქი ბურთულების მძიმე ბურთებისკენ მიზიდულობით. თუმცა მიზიდულობის ძალა მეტად მცირე იყო. მაგრამ ხელსაწყო იმდენად ზუსტი იყო, რომ ცდის მრავალგზის განმეორების შედეგად ჰენრი კევენდიშმა მიზიდულობის ძალის საშუალო სიდიდე გამოიყვანა. ახლა მას იგი იმ ფორმულაში უნდა ჩაესვა, რომელიც ბურთულების ურთიერთმიზიდულობის ძალას იმ ნივთიერების სიმკვრივესთან აკავშირებდა, რომლისგანაც ჩვენი პლანეტა შედგება, ინგლისელმა მეცნიერმა დაადგინა, რომ ეს სიმკვრივე შეადგენს 5,45 გრამს კუბურ სანტიმეტრზე.

თანამედროვე მონაცემებით, დედამიწის ნივთიერების კუბურ სანტიმეტრს საშუალოდ 5,518 გრამი, ანუ თითქმის იმდენივე მასა გააჩნია, ხოლო მთელი პლანეტის მასა ტოლია $5976 \cdot 10^{21}$ კილოგრამისა: 5976 მერე კი ოცდაერთი ნული. კევენდიშმა თითქმის შეუცდომლად განსაზღვრა ეს უზარმაზარი სიდიდე, ამრიგად გამოდის, რომ სწორედ მას აუწონია პირველს დედამიწა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

უფროსებს ძალიან მოეწონათ ჯონის სხარტი სიტყვა-პასუხი, განსწავლულობა და ათასგვარი საქებარი სიტყვებით შეამკეს იგი. მაგრამ ერთმა სქელმა მამაკაცმა არ გაიზიარა დანარჩენის აზრი და შენიშნა:

—ისინი, ვინც ბავშვობაში გონიერებას ამჟღავნებენ, დიდობაში, როგორც წესი, ჩლუნგები და ბრიყვები არიან.

—როგორ გეტყობათ, სერ, რომ პატარაობისას ძალიან ჭკვიანი ბავშვი ყოფილხართ, — შენიშნა ჯონმა.

* * *

მაქსი ცხარე ცრემლებით ტირის სკოლის დერეფანში. კლასის დამრიგებელი ეკითხება:

—რა გატირებს, რა მოხდა?

—მათემატიკის მასწავლებელი კიბეზე დაგორდა.

—მაგიტომ ტირი, ჩემო კარგო? დამშვიდდი, მას არაფერი დაშავებია, კარგად არის.

—როგორ არ ვიტირო, როცა ყველამ დაინახა, როგორ მოგორავდა, მე კი ამ დროს ტუალეტში ვიყავი.



* * *

მასწავლებელი: არ გრცხვენია, ალექს, ყველა მაგალითი ამხანაგებისგან გაქვს გადაწერილი!

მოსწავლე: რატომ ყველა, მასწ, მარტო ცხრა მაგალითის გადაწერა მოვასწარი.

* * *

მასწავლებელი: აბა, ვინ მეტყვის, რატომ ახვევენ ცეცხლწაკიდებულ ადამიანს ტანზე პალტოს ან საბანს?

მოსწავლე: რომ არ გაცივდეს, იმიტომ.

* * *

მასწავლებელმა ტომის საშინაო დავალება რომ შეამოწმა, გაოგნებულმა შესძახა:

—ვერ გამიგია, როგორ მოახერხა ერთმა ადამიანმა ამდენი შეცდომის დაშვება?

—ერთმა რატომ, მასწ? მამაჩემიც მეხმარებოდა.

* * *

მასწავლებელი: როგორ ზრდიდნენ ძველ სპარტაში ბიჭებს?

მოსწავლე: ძველ სპარტაში ბიჭებს ასწავლიდნენ, რომ ტრანსპორტში უფროსებისთვის ადგილი უნდა დაეთმოთ.

* * *

—შვილო, როგორ მოხდა, რომ ისტორიის გარდა ყველა საგანში ორიანი გიწერია?

—ისტორიაში ჯერ არ გავუძახივარ, მამა.

* * *

—ათი თვისამ ავიდგი ფეხი, — უთხრა პატარა ელზამ ამხანაგს.

—დიდი ამბავი! მეც შემეძლო სიარული, ათი თვისა რომ ვიყავი, მაგრამ მშობლებს არ გავუმხილე და მათ ორ წლამდე ხელში აყვანილი დავყავდი.

* * *

—არც ერთი შეცდომა არ არის, — უთხრა მათემატიკის მასწავლებელმა ფრანტიშეკს, მისი საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ, — ოღონდ ნუ დამიმალავ, მითხარი, მამაშენს ვინმე მიეხმარა?

* * *

—მამა, იმ ამოცანაში, გუშინ რომ ამომიხსენი, ორი შეცდომა დაგიშვია, — უთხრა მაქსმა მამას.

—რას ამბობ? — შეწუხდა მამა.

—არა უშავს, ვერც სხვა მამებს ამოუხსნიათ.

* * *

—ვაიმე მამი, გალიაში იადონები აღარ არიან.

—აი, თურმე რატომ ამღერდა ჩვენი კატა!

* * *

—ყოჩაღ, რენატო, ძალიან გამახარე, ამ ბოლო დროს შენ სწავლას მოუმატე. ალბათ ვინმე გეხმარება გაკვეთილების მომზადებაში? — ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს.

—არა, მასწავლებელო, არავინაც არ მეხმარება, უბრალოდ, ორი კვირაა, რაც ტელევიზორი გაგვიფუჭდა და ჯერ არ შეგვიკეთებია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნ | გემების სადგომი; |
| 2 | ა | მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი; |
| 3 | კ | ინდიელთა ნავი; |
| 4 | ა | შტატი აშშ-ში; |
| 5 | დ | მდინარე მოლდავეთში; |
| 6 | უ | ერთი და იმავე, ორი ან რამდენიმე ნოტის ერთდროულად აჟღერება; |
| 7 | ლ | ლელით დაფარული ადგილი; |
| 8 | ი | სახელისა და გვარის წინა ასოები; |
| 9 | გ | მაიმუნის ჯიში; |
| 10 | ი | რაიმე ნაწარმოების სცენაზე გათამაშება; |
| 11 | ლ | მდინარე ქართლში; |
| 12 | ო | მსუბუქი მანქანის მარკა; |
| 13 | ც | ძვ. რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ორატორი; |
| 14 | ა | გაუმტკივანება; |
| 15 | ვ | ქართული საკალათბურთო გუნდი; |
| 16 | თ | რაიონული ცენტრი საქართველოში; |
| 17 | ა | „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; |
| 18 | ხ | სტიქია; |
| 19 | ა | ხელსაწყოთა ერთობლიობა; |
| 20 | ლ | ფულისა და ნივთების გათამაშება; |
| 21 | ი | ელევსინური ღვთაება; |
| 22 | ს | სწორკუთხად მოხრილი ბოლოების მქონე ჯვარი; |
| 23 | ა | ტალღების მიერ ზღვის ნაპირის ჩამორეცხვა; |
| 24 | ს | სათამაშო წვრილი, მსუბუქი რგოლი; |
| 25 | წ | სოფ. ამბროლაურის რ-ში; |
| 26 | ა | ქვეწარმავლის სახეობა; |
| 27 | ვ | ქსოვილის სახეობა; |
| 28 | ლ | ქართული მხატვრული ფილმი; |
| 29 | ო | ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი; |
| 30 | წ | ქიმიური ელემენტი; |
| 31 | ლ | პარკოსანი მცენარე; |
| 32 | ი | ერთგვარი კანფეტი; |
| 33 | ს | ყვავილი; |
| 34 | დ | მთის მრავალწლოვანი ბალახი; |
| 35 | ა | მათემატიკის დარგი; |
| 36 | წ | მრავალწლოვანი, მაგარმერქნიანი მცენარე, ისხამს მაგარნაჭუჭიან ნაყოფს; |
| 37 | ყ | ლაბაბი ანუ...; |
| 38 | ე | სომხეთის დედაქალაქი; |
| 39 | ბ | საეკლესიო კომპლექსი თბილისთან ახლოს; |
| 40 | ა | წუმწუმა ანუ...; |
| 41 | ს | სპილოს ნაშიერი; |

*კროსვორდის სწორად შევსების შემთხვევაში მუქ უჯრებში ჩაწერილმა ასოებმა უნდა შეადგინოს შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი*

# საქართველოს მომავალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნინი ხუციშვილი



ეკატერინე ცირეკიძე



ანა ელიაური



გიორგი კორინთელი



ლევან ელიაური

კომპიუტერული სასწავლო
ცენტრი

,,DaviD,,



დღესასწაულების და ღონისძიებების
ციფრული ფოტო-ვიდეო გადაღება
და კომპიუტერული მონტაჟი
საერთაშორისო სტანდარტებით
სარეკლამო რგოლები.

WINDOWS, WORD, EXCEL, INTERNET,
PHOTOSHOP, COREL DRAW, 3D MAX,
AUTOCAD, ARHICAD, PAGEMAKER,
HTML, ADOBE PREMIERE,
ULEAD MEDIASTUDIO PRO.

მისამართი: მარჯანიშვილის მოედანი 89/24
ტელ: 95 24 65. 893 17 23 84. 855 30 70 52.
895 35 09 64. 898 15 32 02

# ჩვენი ვერნისაჟი







თიკო ბლადაძე,
ქ. თბილისი,
№155-ე საჯარო
სკოლა, VI კლასი.



ნინო
მეზვრიშვილი,
ნ. ბაგრატიონის სახ.
თავად-აზნაურთა
სკოლა-ლიცეუმი, II კლასი.





სანდრო
ლონდარიძე,
ნ. ბაგრატიონის სახ.
თავად-აზნაურთა
სკოლა-ლიცეუმი, II კლასი.





თათია კიკნაძე,
9 წლის.











ნათია ვიბლიანი